



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბუქ-  
უდი სიფყვას, ფყუილებით და ჭებებით ბუბ-  
თის გაცანა ყულა უკადრისებზე უსამაგლესია.

ბაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

პარასკევი, 8 მარტი. 2024 წ. №28 (9708) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## ტრაგედიიდან ტრაგედიაზე



### 9 მარტი, 9 აპრილი, 9 აგვისტო...

„რამ დაგაბრმავათ ქართველნო,  
რამ დაგიყრუათ ყურები,  
რო ყოფილიყო სტალინი,  
ამას გვიზამდა რუსეთი?!  
გამთახილეთ თვალები,  
გამოიფხიკეთ ყურები“.

ნ. 8 გვ.



### GUARDIAN: საბერძნეთის ეკლესიაზე... „გამოიღვიპა“!

საბერძნეთის მართლმადიდებ-  
ბელი ეკლესია ერთი და იგივე  
სამსის წყვილთა შორის იმის  
გალიზების შესახებ კანონს  
გმობს და კანონმდებლის წინა-  
აღმდეგ სადამსჯელო ზომების  
მიღებას ითხოვს.

კორფუს საეპისკოპოსოში აცხადე-  
ბენ, რომ საბერძნეთის პარლამენტში,  
კორფუს წარმომადგენელ იმ ორ დე-  
პუტატს, რომლებმაც ლგბტ კანონს  
მხარი დაუჭირეს, საეკლესიო რიტუა-  
ლებზე აღარ დაუშვებენ. საბერძნეთის  
უმალესმა საკანონმდებლო ორგანომ  
ერთი და იგივე სქესის წყვილთა ქორ-  
წინება გასულ კვირას დააკანონა.


## „არა და არასოდეს“!

### მიჩაის შენალება- არშენალება და ირინა ანუქიძის ფაქტორი



ნ. 4 გვ.

### ნუზარ შატაძე ენის მუდმივი ბინადარი



**მედიცინა და  
მეცნიერება**

**ქირურგიული  
სამსახურის  
პრობლემები და  
თანამედროვე  
მიდგომების  
ანალიზი 5**

საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნულ აკადემიაში

### სოცხალი ქალა - უკრაინის, იარაღი - ეპროპის“!



**შვედეთი  
ნატოს 32-ე  
წევრი  
ოფიციალურად  
გახდა**

შვედეთის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გა-  
წევრების პროტოკოლი აშშ-ის სახელმწიფო დე-  
პარტამენტის ვიზავირდზე გამოცხადდა.  
დოკუმენტი 2024 წლის 7 მარტიდან შევიდა ძალაში.  
შვედეთმა და ფინეთმა ნატოში გაწევრიანების განაცხა-  
დი უკრაინაში რუსეთის ომის დაწყების შემ-  
დეგ, 2022 წლის მარტში წარადგინეს. ფინეთმა  
ალიანსში გაწევრების პროცედურა 2023 წლის  
მარტში დაასრულა. შვედეთის გაწევრება კი თურქე-  
თისა და უნგრეთის წინააღმდეგობის გამო შეფერხდა.



# ვინ დაეძვრა ზურაბიშვილის ქოლგის ქვეშ?



ერთადერთი მიზეზი, რატომაც სალომე ზურაბიშვილი იწინააღმდეგებოდა თავის თანამდებობას, არის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა, – ამის შესახებ ურნალისტიკის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილმა განუცხადა.

შალვა პაპუაშვილს კითხვა დაუსვეს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივ დოკუმენტზე, რომელიც იქნება ერთგვარი ქოლგა, რომელიც დაეხმარება ქართული ოცნების ადგილს კოალიციაში, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილი ყველას დაუპირისპირდა, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა.

საკუთარი პარტიები გაერთიანდებიან. კითხვაზე, როგორ ესახება ასეთი ერთობის პერსპექტივა და პოლიტიკური მომავალი და თუ ხედავს „ქართული ოცნების“ ადგილს კოალიციაში, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილი ყველას დაუპირისპირდა, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა.

„სალომე ზურაბიშვილი დაუპირისპირდა ყველას და ყველაფერს, ვისაც კი შეიძლება, დაპირისპირებულიყო, დაწყებული საქართველოს პარლამენტიდან, საქართველოს მთავრობამდე, ეროვნული მანკი, სხვა ინსტიტუტებში, საპარტიო, გახსოვთ მოლოდინის განცხადებებში, ყველას, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი კოლეგებისა. რატომ? იმიტომ, რომ ერთადერთი მიზეზი, რატომაც ის იწინააღმდეგებოდა თავის თანამდებობას, არის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა.“

რომ არა „ნაციონალური მოძრაობის“ რადიკალური დღის წესრიგი, რომ სალომე ზურაბიშვილი შეენარჩუნებინათ იმ თანამდებობაზე, რათა ზუსტად ასეთი რადიკალიზაცია ეკეთებინა და შეერყია ქართული სახელმწიფოებრიობა, რა თქმა უნდა, პარლამენტს უნდა გამოეცხადებინა იმპიჩმენტი. უბრალოდ, ჩვენი უბედურებაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირ რყევას ხელს უწყობს. ამიტომ ერთადერთი, ვისთანაც მას აქვს ურთიერთობა, გახლავთ რადიკალური ოპოზიცია. ეს არის არამხოლოდ ურთიერთობა, ეს არის სწორედ პოლიტიკური ალიანსი. კიდევ ერთხელ დაადასტურა – ერთ ამბავში უარყოფს, თითქოს პოლიტიკაში არ არის ან არ უნდა, მეორე ამბავში იქვე ამბობს, რომ არათუ უნდა, არათუ ისწრაფვის, ის, საერთო ჯამში, „ნაციონალური მოძრაობის“ ქოლგაც კი ყოფილა“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## კლავო პლისაშვილი: კალიან დაეძვრა, როცა ფანატურმა ათასი რჯულის, პოლიტიკური გეგმების ხალხთან მივიღებოდი!

„მამრამ სამ კატეგორიას, ვისთან ერთადაც პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას არ მივიღებ. ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობა“, კორუმპირებული წარსულის მქონე პოლიტიკოსები, რომელთა ნაწილი ახლა ოპოზიციაშია და პრორუსები – მათთან არაფერი მესაქმება. ძალიან დაგვაშეშა, როცა იმ ფანატურმა ათასი რჯულის ხალხთან, ათასი პოლიტიკური გეგმების ხალხთან ვიჭყლიტებოდი და ვიზილდებოდი. თვითონ არ ვიცოდი, რა ჯანდაბა მინდოდა. დავაშავე, დასვენების გამოვიტანე და იმავეს გამოვიტანე მას არ ვაპირებ.“



ჩვენი პარტია არ იღებდა იმ ქოლგის ქვეშ, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება. მე დავთმას არ ვაპირებ, მიჩვენებია, დავსველდე პოლიტიკურ წვიმაში და სეტყვაში მოვყევი, პარლამენტში ვერ მოვხვდები, მაგრამ „ნაციონალურმა“ ერთად ყოფნას არ ვაპირებ“, – განაცხადა ალევო ელისაშვილმა.

## დავით ხილაშვილი ნაციონალურს პირად მტრად მიიჩნია და ეს აუიოტაჟის იმიტომ ატყდა

გია ვოლსკი გამოეხატა კოლიტიკური ბარათი-ანგა „დროს“ მიერ გავრცელებულ ვიდეოს, რომელშიც ხილაშვილი მუშაობდა მუშაობის შემდეგ გააფრთხილეს.

გია ვოლსკის თქმით, „დროსი“ ის ხალხია, ვისაც ყოველდღე უნდა შეახსენო, რომ რუსეთის მიუკერძოებელი იდეები დაფინანსდება.

„მგონი, ეს სიხარული და ტაშ-ფანდური იმით იყო გამოწვეული, რომ დავით ხილაშვილს შევხვდი, თუმცა გულახდილად გეუბნებით, ხილაშვილს არანაირად არც ან-



ტიდასავლური, არც პრორუსული და არც, მით უმეტეს, ანტიქართული იდეა არ გამოემყდებინა. საუბარი შექმნა იმაზე, რომ 2011 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში რუსეთთან და შევიყარა ისტორიის საერთაშორისო მონაწილეობით შეთანხმება იყო, მათ შორის საქართველომ საერთაშორისო საეკონომიკურ ორგანიზაციაში რუსეთის წევრობას მწვანე შეუქმნა აუთო და თუ შესაძლებელია, ეს სატრანზიტო მოძრაობა ამ შევიყარის მხარის ჩართულობით აღდგეს იმ შეთანხმებით, რომელიც 2011 წელს „ნაციონალურმა“ რუსეთთან გააფორმა.

ჩემი დიდი პასუხები არც დასტირებია, თავადვე კარგად ესმის და თავისი პოზიციაც გამოხატა, რომ დღევანდელ ვითარებაში, საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, მას შემდეგ რუსეთი შეიჭრა და ახდენს უკრაინული ტერიტორიების ოკუპაციას, რაიმე მოლაპარაკება საერთაშორისო მონაწილეობით, მით უმეტეს, რუსეთთან, პრაქტიკულად არაა შესაძლებელი და ამას პერსპექტივა არ გააჩნია და ეს თვითონაც კარგად ესმის“, – განაცხადა ვოლსკიმ. მისი თქმით, აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით „რუსული მიუკერძოებელი დაფინანსებული ადამიანის ორგანიზაციამ ატეხა ამბავი“.

„აქ მეფერი რამ განაპირობა თვითონ დავით ხილაშვილის მიმართ დამოკიდებულებამ. გახსოვთ, რომ ის იყო ადამიანი, რომელმაც ამათი მეტადი ამხილა იმაში, რომ სააკაშვილმა ტერიტორიები გაასხვისა, რუკები ჩამოიტანა არქივიდან. ვფიქრობ, ის, რომ „დროს“ ფინანსდება რუსული მიუკერძოებელი და დავით ხილაშვილი მათ პირად მტრს წარმოადგენს და მათ მეტადი უპირისპირდება, ეს იყო განმარტოებელი იმ აუიოტაჟის, რომელსაც არანაირი აბსოლუტურად საფუძველი არ გააჩნია“, – განაცხადა ვოლსკიმ.



## ნაცხდისთვის პირი და იმიტომ კაჟი სუბარკი და ფარული შეხვედრა

სასამართლო იმაზე საუბარი, რომ პარლამენტის გვერდით მდებარე კაფეში, სადაც მის მარხოლმე, თქვენს ხართ, ფარული შეხვედრა იყო, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილმა განუცხადა.

პაპუაშვილს კითხვა დაუსვეს გია ვოლსკისა და დავით ხილაშვილის შეხვედრის საკითხზე.

„არაკეთილსინდისიერია, როცა საზოგადოებას ისე წარუდგენ, თითქოს რაღაც კონფიდენციალური შეხვედრა იყო საჯარო ადგილას – იმ ადგილას, სადაც ივრიზებთან დეპუტატები, ურნალისტები, პარლამენტის გვერდით ერთი კაფეა და იქ ივრიზება ყველა“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## პაი უნეს პატრონს, უბედურ სვირია!

პარტია „გირჩის“ ოფისში ერთ-ერთი ლიდერს იაკო ხვიციას თავს დაესხნენ. გვიან ღამით მათ ოფისში მივიდა პირი, რომლის ძმაც გირჩმა თავის დროზე სამხედრო საავადმყოფოში სამსახურიდან გაათავისუფლა.

იაკო ხვიცია აღნიშნავს, რომ კაცმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიიყენა პარტიის წარმომადგენლებს, რის შემდეგაც, იაკო ხვიციას თქმით, თავად ჩაერია, რა დროსაც მოქნილი ხელი მოხვდა. ხვიციას თქმით, ის ცხდა ხელი-სუფლებსა და საპარტიო პროპაგანდის მსხვერპლი.

„სინამდვილეში, ეს ყველაფერი გამოწვეული არის ქართული ოცნების და საპარტიო მოქმედების მიზნული პროპაგანდით. ადამიანი მოვიდა ოფისში, რომლის ძმაც ჩვენ დავტოვეთ ჯარიდან, თავის დროზე, მიმდინარე თავისუფლების დახმარებით. მერე ეს ძმა წავიდა ამერიკაში, ახლა მერე ძმამ მამა შალვასა და მისი ძმაც კაცების პროპაგანდიდან გამომდინარე, გადაწყვიტა, რომ ჩვენ სატანას ვაზიარებთ მისი ძმა. მოვიდა ოფისში, თანამშრომლებს აყენებდა შეურაცხყოფას, რომელიც ჩვენ ვერც და უბრალოდ მისი მოქნილი ხელი მოხვდა. მერე საკაფე ვცემით, მაგრამ ჯერ მაინც არ მინდა რომ დაიჭირონ, იმიტომ რომ კიდევ მყავს საცემი ერთხელ“, – ამბობს იაკო ხვიცია.

გირჩის ლიდერი ამბობს, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს.

„არ ვთანამშრომლობ გამოძიებასთან, მე თვითონ მივხედავ. დეპუტატმა ის განაცხადა, რომ მურუსიძის სასამართლოს ვენდობი?“, – ამბობს ხვიცია.

ხელისუფლება და საპარტიო რა შუაშია, შე უბედურ სვირია! დეპუტატი ახალგაზრდას რომ ჯარიდან ტოვებდა და საპარტიო რა შუაშია, რომ უბედურ სვირია იქნებოდა, ამას ჰქვია „ბილიტი“ თანამშრომლებსა?.. შუაშია რომ ოფისში კაფეში და ამგვარად ორგანიზაციის ანგარიშით, ეს არის „ბილიტი“ თანამშრომლებსა?!

ან პარლამენტსა და საპარტიო ტელევიზიაში რომ ყველაფერს და ჯიშას გვასწავლი, ამიტომ არის ხელისუფლება-საპარტიო რა შუაშია? არამგადაბრუნებელი ურთიერთობაში დაინახა? იყრება მინც, შე ბრიყვი!

## პარლამენტმა ოფისი კანონი დაამტკიცა, რომელიც დაიჭრა ნაციონალური მოძრაობის მიერ

პარლამენტმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კენჭი უყარა და დაამტკიცა ოფისი კანონი, რომელიც დაიჭრა ნაციონალური მოძრაობის მიერ.

80 ხმით ერთიანი წინააღმდეგ მესამე და საბოლოო მოსმენით დამტკიცდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ შესატანი ცვლილებები. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანას მხარი 83-მა დეპუტატმა დაუჭირა. 82 ხმით მიიღეს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ კანონში“ ცვლილებები. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონი ცვლილებების შეტანას მხარი დაუჭირა 77 დეპუტატმა. პარლამენტმა ასევე დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი შემაჯავლი კიდევ ორ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები.

## ენერჯეტიკულ სექტორში თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს...

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ლევან დავითაშვილმა ისლანდიის პრემიერმა გუდნი ირინიუსონთან ერთად ახალქალაქის შიდა რეგიონული ადგილობრივი და ადგილობრივი ენერჯეტიკის ენერჯეტიკულ განხორციელებული პროექტია. ახალქალაქის ჰესი, 9.1 მეგავატი დადგენილი სიმძლავრით, 2022 წელს საქართველოში ექსპლუატაციაში შესულ შიდა რეგიონულ ენერჯეტიკულ პროექტს წარმოადგენს.

„ახალქალაქი ჰესის პროექტის წარმატებული მაგალითია, რომელიც სხვა ინვესტიციებზე შეიძლება გაიზიარონ იმისთვის, რომ ენერჯეტიკული პროექტები, განსაკუთრებით განახლებადი ენერჯეტიკის მიმართულებით წარმატებით განხორციელდეს“, – განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

ახალქალაქის ჰესების კასკადში 26 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მშენებლობის პროცესში 200-მდე ადგილობრივი მოსახლე იყო დასაქმებული. ლევან დავითაშვილის თქმით, ისლანდიური ინვესტიციით ამენებული ჰესი საინტენსივო არამხოლოდ იმით, რომ მნიშვნელოვან ენერჯეტიკულ პროექტს წარმოადგენს, არამედ იმითაც, რომ მის ფარგლებში არაერთი სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი განხორციელდა. კერძოდ, ჰესის მიმდებარე დასახლებებისთვის ინვესტიციები კომპანიამ საკუთარი ინვესტიციით მოაწყო სატურმო სადგური, სპორტული დარბაზი, მოაწესრიგა სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა, მონაწილეობა მიიღო შიდა გზების მშენებლობაში და სხვ.

ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, პროექტის განხორციელებისას სრულად იყო დასრული გარემოსდაცვითი ნორმები. „ვფიქრობ, რომ თანამშრომლობა, რომელიც ისლანდიისთან ენერჯეტიკულ სექტორში გააქვს, უნდა გაგრძელდეს. იმედი გვაქვს, რომ ისლანდიური ინვესტიციები განახლებადი ენერჯეტიკის მიმართულებით საქართველოში კიდევ ვიხილოთ“, – აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა.







# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

## განსხვავება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ასხვავებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:

1. ელფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია – ფიზიკის დარგში;
2. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია – გეოგრაფიის დარგში ;
3. ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია – ფიზიოლოგიის დარგში ;
4. ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის დარგში;
5. გიორგი ვიგაურის სახელობის პრემია – მეტყვეობის დარგში;
6. ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია – ევოლუციის თეორიისა და პალეობიოლოგიის დარგში;
7. სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში;
8. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია – საქართველოს მიწათმშენებლის ნედლეულის გადამამუშავების დარგში ;
9. კონსტანტინე კეკელიძის სახელობის პრემია – ძველი ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში;
10. მიხეილ მუსხელიშვილის სახელობის პრემია – პოლიტიკის მეცნიერებათა დარგში;
11. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია – ქირურგიის დარგში;
12. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია – ტექნიკის დარგში ;
13. ივანე ფრანგიშვილის სახელობის პრემია – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დარგში;
14. იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია – ფარმაცოქიმიის დარგში;
15. გიორგი ჭოლოშვილის სახელობის პრემია – მათემატიკის დარგში ;
16. ნიკოლოზ ხომიჭურაშვილის სახელობის პრემია – მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში;
17. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია – გეოლოგიის დარგში ;
18. სერგი ჯიქიას სახელობის პრემია – თურქოლოგიის დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი (მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული შრომა ან შრომათა ციკლი), რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა-უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც ადრე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წარმოადგენენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილეობა საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;
- ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;
- (ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).
- გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;
- დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.
- ე) ყველა საკონკურსო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2024 წლის 11-დან 29 მარტის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №52, ოთახი 320.

საბუთები მიიღება ყოველი სამუშაო დღის 11<sup>00</sup>-დან 17<sup>00</sup> საათამდე.

დაამატეთი ცნობებისათვის დარედაქმნეთ ტელ. 2-99-00-52

# ყოველი შარტავას გეოგრაფიული პრი უნდა გადაარჩინოს და აღმოჩინდეს!



## გმირობისა და თავგანწირვის მემკვიდრისა და მომავალი თაობებისთვის.

მან საკუთარი სიცოცხლე განიხილა და ქართველი კაცის ღირსების სიმბოლოდ იქცა. მჯერა, ისტორია მის გმირობას არასოდეს დაივიწყებს.

ირაკლი კობახიძე.

## ყოველი შარტავამ თავისი სახელი მოწამებრივად სიკვდილით უკვდავყო!

ყოველი შარტავას სახელთან ასოცირდება ისეთი ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტი ღირებულებები, როგორცაა სამშობლო, მოყვასის სიყვარული, თავგანწირვა. ის დარჩება საქართველოს ისტორიაში როგორც წამებულ გმირი, ვაჟკაცობისა და რაინდობის სიმბოლო. ასეთი იყო სიცოცხლეშიც და ასეთად უკვდავყო თავისი სახელი მონამებრივი სიკვდილით.

ყოველი შარტავა არის სწორედ ერთიანი საქართველოს სულის უკვდავების განსახიერება, რომელიც დროისა და ყოველივე წარმავლის მიღმა, წლები კიდევ უფრო მონუმენტურსა და დიდს ხდის მის პიროვნებას, ხოლო მისი თავდადება სიამაყით გადაეცემა თაობიდან თაობას, ჩვენს შთამომავლობას.

დღეს სრულიად საქართველო პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნას, ქედს ისრის მისი გაუტყეხელი სულის და მამულიშვილობის წინაშე!

შალვა პავსაშვილი.

## თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიდარი

ყოველი შარტავა არის სიმბოლო სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიდერის. ის ყოველთვის ხელს უწყობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენას, – ამის შესახებ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი სოციალურ ქსელში წერს.

7 მარტი საქართველოს ეროვნული გმირის ყოველი შარტავას დაბადების დღეა. მისი გმირობა, გამოჩენილი სიმტკიცე და სიამაყე სამაგალითოა. ყოველი შარტავა არის სიმბოლო სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიდერის. ის ყოველთვის ხელს უწყობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენას, ბოლომდე იდგა სოხუმის დამცველთა რიგებში და თავისი სიცოცხლის ფასად ცდილობდა დაეცვა ქვეყანა და ხალხი. სამშობლოს გაერთიანება, ჩვენს აფხაზ ძმებთან ერთად, ძლიერი სახელმწიფოს აშენება არის ჩვენი მიზანი. ჩვენი გმირების და, მათ შორის, ყოველი შარტავას თავგანწირვა ყოველდღე გვახსენებს ამ მიზანს. ქედს ვისრულებ ჩვენი ქვეყნის გამორჩეული გმირის ხსოვნის წინაშე. დიდება გმირებს!

ირაკლი ჩიქოვანი.

## ყოველი შარტავას ხეივანი - მომავალი საქართველო

მათუშში, ყოველი შარტავას სახელობის გმირთა ხეივის სრული რეაბილიტაცია და საფეხმავლო სახიდე გადასასვლელების მშენებლობა დასრულებულია.

მათივე ცნობით, გმირთა ხეივის რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით, მოეწყო სარწყავი სისტემა, საფეხმავლო მილიკები, კომუნიკაციური და მოსასვენებელი სივრცეები, დამონტაჟდა გარე განათების დეკორატიული ლამპიონები, შედგენილი და ველოსადგომები. რევიზიული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსალაძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჭვაძემ, ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან და თანხლებ პირებთან ერთად დაათვალიერეს გმირთა ხეივის მიმდინარე სამუშაოები და პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული გმირის ყოველი შარტავას ხსოვნას.

ქალაქის ახალი ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ, 1 კმ სიგრძის გმირთა ხეივანი, მაღალი ინტენსივობის განაშენიანების გამყოფი სივრცეა, რომელიც საკმაოდ არასახანძრეო მდგომარეობაში და ფაქტობრივად, უფუნქციო იყო. მისი რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებდა სივრცის განვითარებას და ფუნქციურ დატვირთვას.

პროექტის განვითარება, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ორ ეტაპად დაიგეგმა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 23.8 მილიონი ლარით დაფინანსდა.







მიანის წინაშე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა დააწიოვა. ამდენად, მეუფეს მოუწოდებენ, პირადად შეეცადოს, სინანულისკენ მოუწოდოს დამნაშავეს, ამხილოს მისი ცოდვები და საბოლოო ბეჭედი არ დაუსვას მისი სულის დაღუპვას.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** For.ge-თან საუბრისას არ გამოიხიბება, რომ შესაძლოა, პრეზიდენტ ზურაბიშვილის მორალი ახლა გადიოდეს საფრანგეთის ან ამერიკის პოლიტიკოსებზე და მათი განცხადების მიხედვით ჩამოყალიბდეს ზურაბიშვილის მორალი სააკაშვილის შეწყალების კონტექსტში. დაახლოებით ეს იგივეა, როგორც მეფერი სხვა ადამიანის მორალი ყალიბდება სხვა ადამიანების შეძახილებით.

რაც შეეხება მეუფე იობის განცხადებას, რომ ვაკუუმით სააკაშვილს პატიმრობა და იგი გავათავისუფლოთ, რამაზ საყვარელიძე ეჭვობს, პრეზიდენტ ზურაბიშვილზე ამ სიტყვებმა გავლენა იქონიოს, ვინაიდან განაშიძელებმა მეუფე იობის განცხადება ანგა-

იყოს. თუმცა ესეც შეეჭვება, რადგან თუკი ოპოზიცია იხდის ფულს ლომისტებში, ოპოზიციაში მე არ შევულებმა რომელიმე ჯგუფი, „ნაციონალური მოძრაობის“ თამაშობით, რომელიც ძალიან ცდილობდეს სააკაშვილის გავათავისუფლებას. თავისუფალი სააკაშვილი მათთვის კონკურენტია“, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსი **გიმპაპაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ცალკეული სასულიერო პირების (და არა საპატრიარქოს შეჯერებული პოზიცია), ცალკეული ადამიანების და, განსაკუთრებით, ანგარეზიანი უცხოელი ნაცლომისტების განცხადებები იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს პრეზიდენტმა, არ არის მათი საქმე და კომპეტენცია. ცხადია, საქართველოს მოქალაქეებს, საერო თუ სასულიერო პირებს, აქვთ გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელია ვერცხლისმოყვარე ვეროპარლამენტარების სამარცხვინო განცხადებები სააკაშვილის შეწყალების თაობაზე.

„კითხვა ისმის, რაში აწყობს ზურაბიშვილს, საბოლოოდ შეინჯვინოს თავი ქართული საზოგადოების წინაშე და შეიწყალოს სააკაშვილი?! მით უმეტეს, რომ ზურაბიშვილი არ წარმოადგენს საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველს. მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სააკაშვილის დროებითი შეწყალება პოლარიზაციის გაზრდის გარდა არაფერს მოიტანს. ეს იქნება დროებითი შეწყალება, რადგან სააკაშვილს აუცილებლად დაეწევა პროკურატურის შუამდგომლობით სასამართლოს გადაწყვეტილება, განათავსონ წინასწარ პატიმრობაში. ეს იქნება ზურაბიშვილის მხრიდან პოლიტიკური აქტი, რადგან მას სურს ე.წ. ხარკი გადაუხადოს გლობალური ომის პარტიას, მაგრამ რა შედეგზეა ეს ორიენტირებული? შედეგი იქნება ის, რომ ხალხში იყოს შფოთი, პოლარიზაცია და სააკაშვილი რამდენიმე საათი, ან რამდენიმე დღე გარეთ იყოს, მაგრამ მთლიან ისევე ცხივში აღმოჩნდეს“, – აცხადებს გიმპაპაძე.

მისივე განმარტებით, საპატრიარქოს უფლება აქვს, შეჯერებული პოზიციით შუამდგომლობა დააყენოს პრეზიდენტის წინაშე ამა თუ იმ პატიმრის შეწყალებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს იქნება შუამდგომლობა, თხოვნა და სულაც არ არის აუცილებლად გასათვალისწინებელი. რაც შეეხება ცალკეულ სასულიერო პირებს, იქნება ეს მეუფე იობი, თუ მეუფე ნიკოლოზი, რომელიც სააკაშვილის მოძღვარია, ვია ამაშივე ფიქრობს, რომ მათი საქმე არ არის პოლიტიკურ ველზე შემოსვლა, ისევე, როგორც პოლიტიკოსების საქმე არ არის თეოლოგიურ სტამბასში შესვლა. ამიტომ უნდა გავმიჯნოთ ეს ორი სფერო – სამოქალაქო-საერო და სასულიერო და აღრევა არ მოვახდინოთ.

„საქართველოში პოლიტიკური ორიენტაცია კი არ არის აღრეული, აქ აღრეულია თეოლოგიურ-პოლიტიკური და პოლიტიკურ-რელიგიური საკითხები. ეს რომ არ მომხდარიყო, ამისთვის დიდი ზღვარია გავლენული კონსტიტუციით და კანონმდებლობით და ამას საქართველოს ყველა მოქალაქემ პატივი უნდა სცეს“, – აღნიშნა გიმპაპაძემ.

მანანა ნოზაძე

# მიჩანს შეწყალება-არ შეწყალება და ირინა ენუქიძის ფაქტორი

## პრეზიდენტი ზნეობრივი გადაწყვეტილების ზღვარზე

სალომე გურაბიშვილისთვის მისივე სააკაშვილის შეწყალება-არ შეწყალების საკითხი ყოველთვის მორალურ ზღვარზე გადიოდა. იყო დრო, როცა მორალი და ირინა ენუქიძის ფაქტორი მას არ აკლავდა საშუალებას, გაეთავისუფლებინა ექსპრეზიდენტი. ამჯერად უნდა იხილოთ, მოქმედი პრეზიდენტის მორალი რაზე გადის, შეიძლება თუ არა მისი განწყობა გარეშე ფაქტორებიდან და გარე გეგმებიდან გამომდინარე. გადამსახურება თუ არა მან ის ზღვარი, რომლის ერთ მხარესაც ღარდნენ სანდრო ბირგვლიანი და ირინა ენუქიძე, ასევე, უამრავი ადამიანი, რომელთა შეიძირა სააკაშვილის რეჟიმმა, სოლო მერაბ მხარეს გამოჩნდა სხვა პრიორიტეტები, მათ შორის, გურაბიშვილის მერკანტილური ინტერესები.



რა იმასთან ნაცვებს იმდენი ნაპერწკალი, რომა მათ დაიპყრეს, რომ „დადგება მორაგები, რომა გურაბიშვილი სააკაშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილებას მიიღებს“, რადგან მისი რიტორიკა შეცვლილია. რას ნიშნავს პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს ექსტრადიციის შესაძლებლობა?!

საკაშვილის შეწყალების ინსპირაციას ხომ არ მისცემს ზურაბიშვილს ცალკეულ სასულიერო პირთა მოწოდებები?! საუბარია მეუფე იობზე, რომლის განცხადებაც „ვაკუუმით პატიმრობაში ყოფნა მიხეილ სააკაშვილს და იგი გაათავისუფლდეს“, ორამროვნად გაიგო ქართველმა ერმა.

მეუფეს შეახსენებენ, რომ სააკაშვილის მიერ ეკლესიისთვის მიცემული 25 მილიონი, ასევე, სასულიერო პირებისთვის გადაცემული მიწები და შენობები არაფერია იმასთან შედარებით, თუკი მას სინანულის საშუალება არ მიეცემა იმ 300 ათასი ადა-

რისგანაწევად ჩავთვალოთ იმ ადამიანისთვის (ანუ პრეზიდენტ ზურაბიშვილისთვის), რომელმაც პატრიარქის ასაკსა და სისუსტეზე გაამახვილა ყურადღება?!

„მეჭვება, საეკლესიო პირებს, მათ შორის, მეუფე იობს ახლანდელი პრეზიდენტი დიდ ანგარიშს უწევდეს. მაინც მგონია, ზურაბიშვილი უფრო ორიენტირებულია დასავლეთის ქვეყნებზე, მათი განწყობების კანონებით მოქმედებს. თუკი უცხოეთში დიდი რიარია ატყდა, გაათავისუფლოთ სააკაშვილი, არ არის გამოიხიბება, ზურაბიშვილმა უცხოეთის დამოკიდებულება მოიმიზეზოს და სააკაშვილი შეიწყალოს. მით უმეტეს, ახლახანს გაიჩვენა, რომ ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფები ისევე ლომისტებს აძლევენ ფულს. ჯერ არ ჩვენებისთვის ფულის გაღება ნაადრევია და გამოიხიბული არ არის, სწორედ სააკაშვილის თემასთან დაკავშირებით დასავლეთის მომილიზება გადამწყვეტი

## გორის მერაბ სოფლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

გორის მუნიციპალიტეტის მერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა სოფლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა და მიმდინარე პროექტებს ადგილზე გაეცნო.



გორის მუნიციპალიტეტის მერი ანაშენდაში, ფხვენისში, საქაშეთის დევნილთა დასახლებბაში, ქიწინის მუერნეობაში, ბროწლეოსა და ტყვიავში იმყოფებოდა. რე-

## გიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და გორის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სოფლებში მიმდინარეობს როგორც სოფლამდელი ინფრასტრუქტურული გზების, ასევე შიდა გზების რეაბილიტაცია.

## ნირო ლასაბიძე: რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განვითარება უმნიშვნელოვანესია

რუსთავში მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პროექტის – ჭალის ტყის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე იწყება მუშაობა. სტრატეგიული დოკუმენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რუსთავის მერიის, შედეგის განვითარების სააგენტოს ჩართულობით შეიქმნა და რუსთავის ჭალის ტყის აღდგენას, განვითარებასა და კონსერვაციას გულისხმობს. „რუსთავის ეკოლოგიის გაუმჯობესება, რა თქმა უნდა ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული სა-

კითხია. ქალაქში დაგეგმილი ეკოპროექტებიდან, რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-განვითარება უმნიშვნელოვანესია. სტრატეგიული დოკუმენტის შესამუშავებლად ჩვენ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დონორ ორგანიზაციებთან და რუსთაველებთან ერთად ვიმუშავეთ. დღეს უკვე სამოქალაქო ჯგუფებთან ერთად ვიხილავთ კონკრეტულ გეგმას, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ეს პროექტი“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

რუსთავის ჭალის ტყე მტკვრის ორივე სანაპიროზეა გაშლილი და მისი ფართობი 320 ჰექტარია. რუსთავის ეკოსისტემისთვის უმნიშვნელოვანესი ფლორა, გასული საუკუნის 90-იან წლებში განადგურდა და მისი აღდგენა-განვითარების სტრატეგია, დღემდე არ არსებობდა.







# ქირურგიული სამსახურის პრობლემები და თანამედროვე მიდგომების ანალიზი

თანამედროვე ქირურგია, როგორც ასეთი, უწინააღრესად, საუკუნეების მანძილზე ღამთობილი სახით, კარგა ხანია აღარ არსებობს – აბრეშინი წელიწადია, რას ის მედიცინის მულტიდისციპლინარულ ღრმად გაღმავდა. აქედან გამომდინარე, ძირეულად შეიცვალა მისი ცალკეული სახეობების – ვთქვათ, ონკო, გულ-სისხლძარღვთა, ბარიატრიულ თუ სხვათა მიმართ მოთხოვნაც და მიდგომაც. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქირურგიის პრობლემების ვიწრო, ეგრეთ წოდებულ „ქირურგიულ“ ჭრილში განხილვა, თანამედროვე მედიცინის წინსვლიდან გამომდინარე, სადღეისოდ უკვე მეტად მოძველებულია, ერთგვარად არქაულიც კი.

აი, ეს გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე, აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხმსურიაძე, წარდგენილი ორი მეტად საგულისხმო მოხსენების გამჭოლი თემა, რომლის შთაბეჭდავად მრავალი ასპექტი მაღალპროფესიულ დონეზე ჩინებულად განიხილეს კლინიკა „პინეთ სამედიცინო ეკოსისტემის“ გენერალურმა დირექტორმა, თსუ-ს კლინიკურმა და აკადემიურმა წარმომადგენელმა, თსუ-ს კლინიკის სრულმა პროფესორმა კახა ნურალიძემ და ქუთაისელმა სწავლულმა, პროფესორმა მერაბ ჯანაშიამ.



აკადემიკოსი რამაზ ხმსურიაძე

**ალსანდრინაძე, რომ თანამედროვე მედიცინა ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება და ინტენსივობა დარღვევად იქცევა, რაც მედიკოსებს პათოლოგიებისადმი უწინარესად პოლიმორფიული, მულტიდისციპლინარული მიდგომებისკენ უბიძგებს. პაციენტებისთვის მაღალტექნოლოგიური, მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.**

შესაბამისად, პრობლემებისადმი ძველებური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მიდგომებით ქირურგიული სამსახური ვეღარ ვადაწყვეტს მის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს არათუ სხვა სამედიცინო მიმართულებებთან მჭიდრო და გაუწყლოვებელი არა უბრალო თანამშრომლობის, არამედ რეალური შეწყობის გარეშე. ამ მიმართულებებში შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს **ანესთეზიოლოგია**, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მართვა პრე, ინტრა და პოსტოპერაციულ პერიოდებში, ხოლო მეორე უმნიშვნელოვანესი დარგია **რადიოლოგია**, კერძოდ **კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიები**, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ფართომასშტაბიანი ქირურგიული ოპერაციების სტრატეგიული დაგეგმვა, შესაძლო ინტრაოპერაციული გართულებების პროგნოზირება, აგრეთვე შესაბამისი პროფილაქტიკის უზრუნველყოფა.

პროფესორ ვ. ნურალიძის თქმით, საანგარიშო პრევენციის მიზანია საკითხის მთავარი ასპექტებისა და ყველა იმ სამედიცინო ინოვაციების თვალნათლივ წარმოჩენა, რომლებიც როგორც საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში, ასევე ჩვენშია დანერგილი. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ **რეალური მაგალითების საფუძველზე მანიფესტირებულია თანამედროვე ქირურგიული სამსახურის სტანდარტული და არასტანდარტული პრობლემები**, განხილულია უკვე აუცილებელი მოთხოვნები მთლიანად ქირურგიის დარგისა და თავად ოპერატორების მიმართ. ასევე აშკარად იკვეთება, რომ ქირურგიის სერტიფიცირებისა და პროფ-

სიული კომპეტენციის საკითხი ამჟამადაც მეტად აქტუალურია, რა მიზეზითაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში კვლავაც გრძელდება ამ მიმართულებით იურიდიული საკითხების დახვეწა. აღნიშნული თეზისის თვალსაჩინოებისთვის, პროფესორმა ვ. ნურალიძემ განიხილა თანამედროვე ქირურგიის ისეთი აქტუური და მოთხოვნილი მიმართულებები, როგორებიცაა **ბარიატრიული და მეტაბოლური ქირურგია**. **ბარიატრია – ესაა მედიცინის ის დარგი, რომელიც სიმსუქნის მიზეზებს, მის მკურნალობასა და პროფილაქტიკას შეისწავლის.** მისი დანიშნულებაა რადიკალურად გადაწყვიტოს ან მნიშვნელოვნად გააადვილოს პაციენტის წონის მართვა. ესაა ქირურგია, რომელიც ხორციელდება სიმსუქნისგან გამოწვეული დაავადებების კორექციისა და მათი პრევენციის მიზნით, მიზნულად შედეგობრივი და საერთო მიზნებიდან გამომდინარე, ბარიატრიული და მეტაბოლური ქირურგია ერთ მიმდინარეობად განიხილება, რომელიც მრავალმოდულიანია ათ ქირურგიულ პროცედურას მოიცავს.

ბარიატრიული და მეტაბოლური ქირურგიული ჩარევების შედეგად, პაციენტი მდგრადი წონისგან, ასევე მისი სიჭარბის თანმხლები ისეთი დაავადებებისგან თავისუფლდება, როგორებიცაა, მაგალითად, **შაქრავანი დაბერების II ტიპი, არტერიული წნევა, უმჯობესდება ლიპიდური პროფილი და სიმსუქნისთან ასოცირებული დარღვევები, პაციენტი ხდება სექსუალურად აქტიური, მკვეთრად უმჯობესდება და ისხნება თანმხლები დეპრესიული მოვლენები, გაიცვლება ადვილდება ასოცირებული სახსნოვანი და ხერხემლის პრობლემების მართვა და, რაც მთავარია, პაციენტების 95 პროცენტს უზრუნველვს ცხოვრების ჩვეული რითმი და ხარისხი.**

პროფესორმა მერაბ ჯანაშიამ აღნიშნა, რომ **წონის კორექცია არ შეიძლება იყოს მონდური, ტრენდული ან საკუთარი სურვილის განხორციელების საშუალება. ესაა სერიო-**

**ზული დაავადება, რომელსაც სადღეისოდ მსოფლიოში მილიარდ 700 მილიონი კაცი უჩივის**, რაც საგანგაშო მონაცემია. სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარებული ოპერაცია, შესაძლოა გახდეს პაციენტის ფიზიკური და მორალური გამოფიტვის მიზეზი, მოჰყვებს სხვა უარყოფითი შედეგაც. ამ მიმართულებით საქართველოში, სამწუხაროდ, უარყოფითი ტენდენცია აღინიშნება, რაც აშკარად საგანგაშოა. საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ **ასეთი ოპერაცია უკუჩვენებია ონკოლოგიური, ალკოჰოლ-დაზოვებული და მეტაბოლური ავადმყოფობების მქონე პაციენტებისთვის.** ასევე სამწუხაროა, რომ ჩვენში ხშირად ხდება შემთავრებული ქირურგიული დოგმატიზმის უკუღმევლობა, რის გამოც პაციენტები ხშირად საგულალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

მეტყე: სამედიცინო ტურიზმის გზით, საქართველოდან მგზობელ ქვეყნებში (ძირითადად, თურქეთში) ყოველთვიურად გადის ათეულობით და ასეულობით პაციენტი, რომელთაც ბარიატრიული და მეტაბოლური ტიპის ოპერაციები უტარდებათ... მხოლოდ ერთდღიანი კვლევისა და მომზადების შემდგომ ისინი კლინიკებიდან მორეემსავე დღეს ეწვრიებიან ხოლმე და რჩებიან ყოველგვარი სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე, რასაც მოსდევს ათასობით გართულებები და მერე მათი დიდი ნაწილი მკურნალობას უკვე საქართველოს კლინიკებში აგრძელებს.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში უკვე დიდი ხანია აუცილებლობადაა ქვეყნული სამედიცინო დახმარების ეგრეთ წოდებული „პერსონალიზაცია“, რაც, საბოლოო ანგარიშით, პაციენტისა და მის ჯანმრთელობისთვის ნაკლებად სასიფათოა და შესაბამისი მაკორექციონებელი ეფექტის მიღებას მეტად უზრუნველყოფს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული პრობლემების ეფექტიანად გადასაჭრელად, აუცილებელია საჭირო ღონისძიებების დროულად დაგეგმვა-განხორ-

ცილება, რაც საგრძობლად მეტად დაცულს გახდის ქირურგიულ პაციენტებს, როგორც გვემური ბარიატრიული ქირურგიის, ისე სისციხლისთვის სამიში პათოლოგიების არსებობის დროს, შეამცირებს სიკვდილიანობას და გვერად უფრო კომფორტულს გახდის მედიკოსების მომავალი თაობების პროფესიული ჩამოყალიბების პროცესს.

ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია და მიზანშეწონილი შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- **აუცილებელია შემუშავდეს ექიმ-ქირურგების რანგინების პრინციპი როგორც სახელმწიფო, ისე შიდაპროსპექტურ დონეზე, განისაზღვროს კონკრეტული სპეციალისტის კონკრეტულ ოპერაციებზე დაშვების კრიტერიუმები;**

- **თანამედროვე მედიცინის მოთხოვნისა და არსებული საერთაშორისო კრიტერიუმების შესაბამისად, განისაზღვროს სამედიცინო დაწესებულებების აუცილებელი აღჭურვილობისა და აკადემიური შემადგენლობით დაკომპლექტების მინიმუმი;**

- **დიალოგისშემდგომი განათლების მიმართულებებში ჩამოყალიბდეს აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც მოიცავს სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებსა და რეალურად შეუწყობენ ხელს პოლიმორფიული მედიცინის პრინციპების მაქსიმალური ეფექტიანობით დანერგვას პრაქტიკულ მედიცინაში;**

- **უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესს უნდა წარმართავდეს ისეთი აკადემიური შემადგენლობა, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული სამედიცინო მოღვაწეობის შესაბამისი სტაჟი და გამოცდილება. ასევე რეკომენდებულია სათანადო კრიტერიუმების შემუშავება.**

პრევენციის დასასრულს, მომხსენებელმა გამოთქვა იმედი, რომ მოცემული საკითხების დროული განხილვა და ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯების გადადგმა, აუცილებლად შეუწყობს ხელს თანამედროვე სტანდარტების ეფექტიან დანერგვას ქართული მედიცინის ყოველდღიურობაში, განსაკუთრებით კი ვადავადებულ სიტუაციების დროს, პაციენტებს შეუქმნის კიდევ უფრო მეტად უსაფრთხო გარემოსა და ხარისხობრივად გაცილებით მაღალი დონის სამედიცინო აზროვნებას დაამყარებს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე რეგიონის რეალობაში.

წარმოდგენილ მოხსენებებთან დაკავშირებით შეკითხვები დასვეს და თავიანთი მოსაზრებებში გამოთქვეს საბჭოს წევრებმა, აკადემიკოსებმა **რამაზ ხმსურიაძემ, რამაზ შინგალიამ, დავით მიქაელაძემ, რამაზ ყურაშვილმა**, პროფესორებმა **არჩილ ჩხოსთამა, გიორგი ნინაძემ, ვლადიმერ შვიციანი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა **კონსტანტინე ყიფიანამ**, ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **მარინა გაბაშვილმა**, რომელმაც, კერძოდ, ზოგიერთ გარემოების თაობაზე ამ უწყების ოფიციალური პოზიცია და არსებული ვითარება განმარტა.

აკადემიკოსმა რ. ხმსურიაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერებათა აკადემიის მიზანია საბინისტროსთვის სათანადო ნაბიჯების გადადგამაში დახმარების გაწევა, რათა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარისხი ჩვენში მაქსიმალურად გაუმჯობესდეს. ამისთვის, საჭირო მუსაზრებები და წინადადებათა დაგეგმვის შემდეგ მოხსენდება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს და გააგზავნება ჯანდაცვის დარგის დასავლეთის სამინისტროს.

**სხდომის შედეგად შეაჯამა და გვერდით გადმოიწერა მონაწილეობისთვის გადასული აკადემიის წევრების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, აკადემიკოსმა რამაზ შინგალიამ, აკადემიკოსმა რამაზ ყურაშვილმა, აკადემიკოსმა რამაზ მიქაელაძემ.**

ოთარ ტურაბელიძე



თანამომხსენებლები – პროფესორები კახა ნურალიძე და მერაბ ჯანაშია



აკადემიკოსი დავით მიქაელაძე პროფესორი არჩილ ჩხოსთა



# „ყველანი აპოლიტიკური ვართ“

## ვინ ეხრებოდა საქართველოდან პუტინის ახალგაზრდულ ფესტივალს

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განკარგულებით სოჭში მიმდინარე მსოფლიო ახალგაზრდულ ფესტივალზე დასასწრებად დელეგაციის საპარტოვლოდანამ გამგზავნა. ქართულ დელეგაციასთან ერთად ფორუმში მონაწილეობდა ახალგაზრდები და „ოფიციალური პირები“ სოჭიდან და სხივალში.

სოჭის მახლობლად რუსეთის ფედერალურ ტერიტორიაზე ქალაქ „სირიუსში“, საქართველოს დროშასთან ერთად ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. სახელმწიფო დროშებიც ფრიალებს. საქართველოს დელეგაციის სათავეში უდგას დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრორუსული ორგანიზაციის, „პრო-მაკედონის სახელობის ქართულ-რუსული სამოგადოებრივი ცენტრის“ ხელმძღვანელი. „სოჭის აეროპორტში საზეიმოდ დაგვხვდნენ ჩვენი ძმები, ინგუშები“, – დაწერა მან სოციალურ ქსელში 29 თებერვალს. ფესტივალის პირველი მარტიდან 7 მარტის ჩათვლით გაიმართა.

**ღია წყაროების მიხედვით, ქართული დელეგაციის წევრებს შორის იყვნენ:**

- ანა ხოტივანიძე – ისტორიული მემკვიდრეობის კანდიდატი, პოსტსამკვიდრეობის

ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე;

- იულია კლიუჩნიკოვა – რუსულენოვანი გიდი თბილისში;
- ინესა როდინა – საქართველოს სამგზის ჩემპიონი სპორტულ აკრობატებში, მანჩესტერიდან... ლორთქიფანიძის თქმით, ის არის „რუსი ახალგაზრდების ლიდერი საქართველოში“.
- კარინე არაკელიანი – მსაჯულთა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი როდიონოვკა (ფანავანი);
- ტატიანა ბალაზანოვა – მცხოვრები სოფელ გორელოვკაში;
- რუსეთში ქართული თემის წარმომადგენლები

ფორუმის ერთ-ერთმა მონაწილემ რადიო თავისუფლების პროგრამა „ეხო კავკასიას“ უთხრა, რომ საქართველოს 35-კაციანი დელეგაციის წარმომადგენს.

„მე პირადად ჩამოვედი, რომ ლექსები წავიკითხო და სხვა მონაწილეებთან ერთად ვიმღერო, მოვეყვო საქართველოზე, მოვიზიდო უცხოელები ჩვენს ქვეყანაში. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტად ადამიანთა გაიგოს ჩვენი მემკვიდრეობა ქვეყნის შესახებ და გვეწვიონ. მერწმუნეთ, ზოგმა მონაწილემ არც იცოდა ასეთი ქვეყნის არსებობის შესახებ“, – თქვა მან.



სოჭის მახლობლად რუსეთის ფედერალურ ტერიტორიაზე, ქალაქ „სირიუსში“, საქართველოს დროშასთან ერთად ოკუპირებული აფხაზეთისა და სხივალის რეგიონის ე.წ. სახელმწიფო დროშებიც ფრიალებს.

დელეგაციის თბილისელი მონაწილის სიტყვებით, გაიცნეს ოსი ახალგაზრდები „თუმცა ყველაზე მეტად ინგუშების წარმომადგენლებთან დავმეგობრდით“.

„მთავანია მშვიდობა და მეგობრობა. ჩვენ ყველანი აპოლიტიკური ვართ და გვსურს პლანეტაზე მშვიდობა“.

რუსეთში მიწვეული იყო, მაგრამ წასვლა ვერ შეძლო სამეცნიერო – კვლევითი ცენტრის SIKHA foundation-ის დამფუძნებელმა არჩილ სისხარულიძემ. „ეხო კავკასიასთან“ საუბარში მან აფხაზეთი და ოსურის „დელეგაციების“ მონაწილეობაზე ისაუბრა.

„90-იანი წლებიდან ქართველი ექსპერტები და მეცნიერები, პოლიტიკოსები მონაწილეობას იღებდნენ და მიიღებდნენ ისეთ ღონისძიებებში, რომლებშიც იქნებოდა აფხაზები და ოსები. დღეს არაფერი შეიცვალა. უმრავლეს ვიღაც ამას აკეთებს ფარულად, ვიღაცა – ღიად. ჩემი პირადი საქმიანობა, როგორც მეცნიერის და მკვლევარის არის ღია. მე ვუსმენ ყველას, ვისაც უნდა რამის თქმა. მოლოდინი იმისა, რომ ჩვენ მხოლოდ სტრატეგიული მოკავშირის მიერ შექმნილ პლატფორმებზე მივიღებთ მონაწილეობას და მხოლოდ იმითან, ვინც მოგვწონს – არის საკუთარი თავის მოტყუება. მოლოდინი, რომ რუსეთი დამარცხდება და ჩვენ „შევერგდებით“ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებსა და დებს, ჩვეულებრივი უეცრობაა. ამიტომ, დიალოგი ადამიანური უნდა იყოს ყველა დონეზე“, – ამბობს სისხარულიძე, რომელიც რუსეთს ხშირად სტუმრობს და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობს.

სოჭში გაემგზავრა ჟურნალისტი ლალი მოროშკინაც. ის დროდადრო რუსულ ტელეარხებთან ინტერვიუებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრობს. ფორუმის შესახებ შთაბეჭდილებები მან გაზეთ „ასავალ-დასავალს“ გაუზიარა. მოროშკინას სიტყვებით, რუსეთის მიმართ დაწესებული

ე.წ. სანქციები სოჭში არსად იგრძნობა, საქართველო კი რუსეთთან მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

„სოჭში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ოლითაგანე ქართველები ცხოვრობდნენ, რუსეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ააშენა ახალი ქალაქი – სირიუსი... ყველა გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ დამდგარია ისტორიული მომენტი, რომელიც ჩვენ ხელიდან არ უნდა გავუშვათ და რუს პოლიტიკოსებს დაველაპარაკოთ. ყველგან ქართული სიმღერები ისმის, ყველგან ქართული კერძებია და ქართული ღვინო იყიდება! მოკლედ, სოჭის გაქართულების პროცესია დაწყებული, ახლა მთავარია სწორი არჩევანი გავაკეთოთ“, – ამბობს მოროშკინა.

ოკუპირებული სამხრეთი ოსეთიდან ფორუმს 130 ადამიანი ესწრება, დელეგაციას ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ალან თიბილოვი ხელმძღვანელობს.

ოკუპირებული აფხაზეთიდან ფორუმს 100-კაციანი დელეგაცია ესწრება. დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა დიპლომატთა გლობალური ფორუმის სესიაში, სადაც შეერთებული შტატები გააკრიტიკა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას „არ სჭირდება ომი“.

ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, ფესტივალში მონაწილეობას იღებს 188 ქვეყნიდან ჩასული 20 ათასზე მეტი ახალგაზრდა. „ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი კი სამართლიანი სამყაროს მშენებლობის იდეა და ერთმანეთის თანადგომაა“. სოჭში საქართველოდან ჩასული დელეგაციის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, ამ დრომდე არ გამოხმაურებია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**სანდრო ჯუჭელაძიანი**  
„რაღო თამისუშაიმი“ ჟურნალისტი.



ქართული დელეგაცია სოჭის აეროპორტში

## პროკურული კინოსანტრის კონკურსი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ასხადებს პროკურსს – „სადიპლომოდ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“.

„კონკურსის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აუდიოვიზუალური რეჟისურის სპეციალისტების სტუდენტების მხარდაჭერა მიმდინარე სასწავლო წლის სადიპლომო ნამუშევრის (მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმი) გადაღების პროცესში. სიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.“

საკონკურსო პროექტის პრონოგრამაში განისაზღვრება შემდგომი პერიოდის მხატვრული ფილმი – 10-25 წთ-მდე;

დოკუმენტური ფილმი – 10-25 წთ-მდე; ანიმაციური ფილმი – 5 წთ-მდე.

საკონკურსო კომისია ხუთი წევრისგან შედგება, რომელთა ხმათა უმრავლესობით იქნება მიღებული გადაწყვეტილება პროექტის სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი. ეროვნული კინოცენტრი შესაბამისი შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტებისა და თითოეული პროექტისათვის გამოსაცემი ფინანსური რესურსის თაობაზე. ეროვნული კინოცენტრის მიერ კონკურსის გამომცემი ჯამური მიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს. კონკურსის გამარჯვებული პროექტები ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება ფილმის მთლიანი ბიუჯეტის არანაკლებ 50%-ით. დასრულებული ფილმი ეროვნულ კინოცენტრს უნდა ჩაბარდეს არაუგვიანეს 2024 წლის 1 სექტემბრისა.

კონკურსის პირობების მიხედვით, პროდიუსერი ვალდებულია, ფილმის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს ფილმის ჩაბარებიდან ორი თვის განმავლობაში, წარმოადგინოს ლიცენზირებული აუდიტის დასკვნა როგორც ეროვნული კინოცენტრიდან, ისე სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსების შესახებ.

საკონკურსო განაცხადები მიიღება 2024 წლის 4 მარტიდან 12 მარტის 19:00 სთ-მდე ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: documents@gnfc.ge. ვადის დარღვევით წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ეროვნული კინოცენტრის მიერ არაუგვიანეს 2024 წლის 20 მარტისა.

## მარჯანიშვილთა ახალი თეატრის გოგი მარჯველაძის ახალი

პულტარის საინისტრო გოგი მარჯველაძის მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნებას ულოცავს, – ამის შესახებ სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სიპ მარჯველაძის პროფესიული საქმიანობა ქართულ თეატრსა და ნიჭიერი თათბების აღზრდას უკავშირდება. თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში დრამის რეჟისორის სპეციალისტის დაუფლებების შემდეგ იქვე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. 2001-2005 წლებში იყო მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომახილობის თეატრის მთავარი რეჟისორი, 2005-2009 წლებში – ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2014-2020 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 2009 წლიდან დღემდე ის ა. გრიშინის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორია, 2023 წლის აპრილიდან კი არის საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე. გოგი მარჯველაძე არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელია.“



გოგი მარჯველაძის პროფესიული საქმიანობა ქართულ თეატრსა და ნიჭიერი თათბების აღზრდას უკავშირდება. თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში დრამის რეჟისორის სპეციალისტის დაუფლებების შემდეგ იქვე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. 2001-2005 წლებში იყო მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომახილობის თეატრის მთავარი რეჟისორი, 2005-2009 წლებში – ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2014-2020 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 2009 წლიდან დღემდე ის ა. გრიშინის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორია, 2023 წლის აპრილიდან კი არის საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე. გოგი მარჯველაძე არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელია.




9 მარტს 80 წლის ბახაშვილმა ნუგზარ შატაიძემ — ორიგინალური, თავისებური, განუმეორებელი სტილის მწერალი. კაცი, რომელიც თავისი გამრეხებით იბრძოდა, იწვევდა, იღვწოდა და ფიქრობდა.

საზოგადოებას პირველად 1968 წელს წარუდგა პოპულარული „ციხისკრის“ ფურცლებიდან მოთხრობით „თეთრი ყვავილები“, რასაც მოჰყვა მოთხრობების 9 წიგნი, რადიოპიესები და ისეთი პოპულარული ფილ-

მების სცენარები, რომლებიც არასოდეს ავიწყდება ქართველ მაყურებელს და მკითხველს — „მეგლუდი“, „ლომა“, „ქართული ანბანი“, „ცხელი ძაღლი“, „გაღმა ნაპირი“ და სხვა.

ნუგზარ შატაიძე გახლდათ სახელმწიფო, „ილიას ფონდისა“ და „საბას“ პრემიების ლაურეატი. ღირსების ორდენოსანი. ბაჰაიტი „სამხრეთის რესპუბლიკა“ დღეს კიდევ ერთხელ იხსენებს დიდ მწერალს.



კობა ჯანდიარი

ენის მუდმივი ბინადარი

„ნამთის სუბიტი აქეთებულ ცივ თაბახში დედა მიტს აბანავებს. მიტს არც ისე პატარაა, ეს ამბავი, დღესაც, ორმოცდასამი წლის შემდეგაც არ ახსოვდეს და არც ისეთი დიდი, რომ შიშველს დედისა შერცხვებს... ასე იწყება ნუგზარ შატაიძის ერთი შესანიშნავი მოთხრობა — „9 მარტი“. საოცარია, მაგრამ ამ, მრავალჯერ წაკითხულ წიგნში, რომელიც ჩემს მაგიდაზე დევს, ყველა ამბავი თითქოს ახალია და ჯერ წაკითხავი. ყოველ ჯერზე მკითხველს ახალი აზრობრივი, გრძობადი და ესთეტიკური ჰორიზონტის, ენობრივი წახნაგის ან მოულოდნელი ლექსიკური მარგალიტის აღმოჩენა ელის.

ვიღაცამ თქვა (თუ არ ვცდები პასტერნაკში) — ამ ქვეყნად ნიჭი ის ერთადერთი სიახლეა, რომელიც ნამდვილად და მუდმივად ახალია. ამ ნამდვილი და მუდმივი სიახლის საიდუმლო, რომლითაც ნუგზარის პროზა და მისი პიროვნებაც თანაბრად შექმნილი, ქართული ენის წიაღშია მოთავსებული. ახლა ვფიქრობ, რომ სამყარო მისთვის ღმერთისგან ნაბოძები საოცარი წიგნი იყო, რომელსაც ქართული ენის გასაღები მთარგმნე და ხარბად, შეუსვენებლად იკითხა აღსასრულამდე. ძნელად თუ გაგახსენდება კაცს სხვა თანამედროვე მწერალი, რომელიც ასე ეჭირისუფლა, ემსახურა, ეხარ-კამეჩა საკუთარ ენას. მისი პერსონაჟების მონუმენტურობა ამოზრდილია არა სიუჟეტის ოსტატური ხვეულებიდან, არამედ განუმეორებელი ენობრივი ქსოვილიდან, რომელიც ფაქტობრივად, ძუნად და ზუსტად ასახავს ადამიანისა და ენის სულიერ თავგადასავალს. ამ ენობრივ ქსოვილში ერთმანეთისგან განცალკევებით არ არსებობს წარსული და აწმყო, ისტორია და დღევანდელი. აქ მარადიულ მთლიანობაში სახლობენ წინაპრებიცა და თანამედროვენიც. ეს არის მისი და ჩვენი, ენაში გამოვლიანებული სულიერი სამშობლო. ეს არის „ხევსურის ხმალი“, „ელიქარი“, „ნოემბრის წვიმა“, „ლოდი“, „სისუა“ და სხვა მრავალი, პირველ რიგში კი, რაღა თქმა უნდა — „პურის მოთხრობა“... მოთხრობა უწოდა ავტორმა, თორემ ასეთი უანრის ნაწარმოები სხვა არც წამკითხავს და რაც მსმენია. მე მგონი, ეს არის ენობრივი ჯადოსნობით მხატვ-

რულ რეალობად გადაქცეული ენობრივადი ნაშრომი, რომელმაც ქართული ენის სტიქიაში მარადიული სასუფეველი გაუჩინა უძველეს სამიწათმოქმედო ცივილიზაციას, იმ დაკარგულ სულიერ სამყაროს და უფაქიზეს ყოფით კულტურას, რომლის გარეშეც ჩვენთვის სამშობლოს განცდა უსრული და ხარვეზიანი იქნებოდა. როდესაც „ცხელი ძაღლის“ სცენარზე ვმუშაობდით, აღმოჩნდა, რომ ნუგზარ შატაიძე მრწამსივით ფაბულანტი, დეტექტიური სიუჟეტების გამოგონებელი და დედუქციის უმაღლო ოსტატის ყოფილა. პირდაღებული ვუყურებდი მისი ფანტაზიის ლაღ და თავისუფალ ფრენას, ვინაიდან მის ლაგონურად დახვეწილ პროზაში ასეთი გატაცება რთული სიუჟეტური პერიპეტეიებით არასდროს შემინინავს. სწორედ არის — ამგვარი დრამატურგიული ზედმეტობანი უჭველად და არღვევდა შატაიძისეული პროზის ენობრივ ქსოვილს, ის კი, უპირველეს ყოვლისა ენის კაცი იყო.

ამავე დროს, მისი პროზა საოცრად ვიზიონერული, შეიძლება ითქვას, კინემატოგრაფიულია. ის არასდროს წერს მხოლოდ იმას, რასაც გრძობს. როგორც ყველა დიდი მწერალი, ის ხედავს კიდევ იმას, რასაც წერს. „გაღმა ნაპირის“ კინემატოგრაფიული წარმატება ამისი ნათელი დადასტურებაა.

პარადოქსალურია, რომ ეს ენის ქურუმი და მუდმივად ენობრივ სტიქიაში მცხოვრები კაცი, სულაც არ იყო ასკეტი. პირიქით საოცარი გახსნილობა სამყაროსა და ადამიანების მიმართ, აღტაცებისა და გაოცების მაგურული უნარი მისი პიროვნების არსებით წახნაგს წარმოადგენდა. მისი ცხოვრების სტილს, ერთი შეხედვით, უფრო შედონისტურ-რამბლემიანური ეთქმოდა, ვიდრე ასკეტური. ნუგზარის მგზნებარე თამადობა, კულინარიული გამოგონებლობა, აზნატული მოზილიანდობა და ცხოვრებისეული სიმბრძნე ჰარმონიულად იყო შერწყმული და შეზავებული ტიტანურ პრომისმოყვარეობასთან.

ხანდახან მგონია, რომ ნუგზარ შატაიძე იყო ცოცხალი ხორცშესხმა ალორძინების ეპოქის ადამიანური ფსიქოტიპისა. ვისაც მოუსმენია მისი ნამღერი „ურმული“, ან უნახავს ზეთში შესრულებული მონუ-

მენტური პანო — „მამალი“ ამაში დამეთანხმება. სამეცნიერო კვლევის უნარი და ფართო ხედვა, რასაც ის ავლენდა ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური თუ პალეოგრაფიული ძიებების დროს მას აშკარად განასხვავებს ჩვენი, ვიწრო სპეციალიზაციის ეპოქის ადამიანებისაგან.

ერთხელ დილაღრიანად დამირეკა, აკა მონჩილაძის „მადათოვი“ თუ წაკითხე, მე მგონი ძალიან მაგარი ბიჭია და შენ რას ფიქრობ? იმდენად გახარებული იყო, რომ ვერ ვკადრე, მეთქვა — ჯერ მძინავს და რა დროს ლიტერატურული დისპუტამეთქი. ასეთი აღფრთოვანებული ზარები და სხვათა წარმატებით გამოწვეული გულწრფელი სიხარულის გაზიარება ნუგზარისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც, სამწუხაროდ, სულაც არ არის ჩვეულებრივი ჩვენი ეგოცენტრული საზოგადოებისათვის. როცა გერმანიაში მივფრინავდით და ილუმინატორში დიუსელდორფის მახლობლად გამლილი სანიმუშოდ მოვლილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გამოჩნდა, ნუგზარმა იყვირა: „მარაქალა გერმანელებს! დიდი ხალხი ყოფილა, როგორ ჰყვარებიათ თავიანთი მიწა“ და ტაში შემოჰკრა.

ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც შემოქმედი კაცის ადამიანური განზომილება შეესატყვისება და, გარკვეულად, აჭარბებს თვით მისი შემოქმედების მასშტაბს. სწორედ ეს ადამიანური განზომილებაა, რაც ასეთ მწარე მონატრებას იწვევს, თორემ მწერალი ნუგზარ შატაიძე არსად წასულა, ის ისევე იქ სახლობს, სადაც ყოველთვის სახლობდა — ქართული ენის ნათელ წიაღში.

ნუგზარ შატაიძის ნააზრობები:

რაც უმეხება „მეფის ნაგში ჯდომას“, პირადად მე ყველანაირ ნავს ვერიდები, რადგან ზღვის ავადმყოფობა მჭირს და ამიტომაც ფეხით სიარული მირჩევნია.

მწერალმა მისი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, სხვათაგან ის მწერალი ვერ იქნება. როცა მოაგრობის სახლი მიტინგებმა „აილი“, ყოველდღე გადიოდი რუსთაველზე, ერთ დღეს დიდ მწერალს თოთარ ჩხეიძეს მოვკარი თვალი, რომელმაც უხარმაზარი განძი — თავისი შემოქმედება მისცა საქართველოს. მივედი მასთან და გაკვირვებულმა ვკითხე: „ბატონო თოთარ, თქვენ აქ ხართ?“ უფრო გაკვირვებით მან მიპასუხა — აბა, ამ დროს სად უნდა ვიყო, მწერალი ბავშვობიდან პოლიტიკოსი უნდა იყოსო. ასეა, მწერალი პოლიტიკოსიც უნდა იყოს, ჩვენ ვამბობთ სათქმელს კალიშით და ფურცელზე, მწერლის საქმე არ არის ტრიბუნაზე დადგომა და მიკროფონში ყვირილი. მაშინ ის მწერალი არ იქნება. ჩვენ ერთად ვართ, ერის ცხოვრებით ვცხოვრობთ და ერის, ჩვენს სატკივარზე ვწერთ.

მშობლივად გასაგებად ვწერთ, ჩანაფიქრი არ გავაბუნდოვნო. ზოგჯერ ერთ ფრაზას ოცჯერ ვწერ, რათა, საბოლოოდ, ნაწარმოები ისეთი გამოვიდეს, რომ ადვილი აღსაქმელი იყოს. ვარ ერთი უბრალო მწერალი, რომელსაც აქვს თავისი სტილი და დიდი სურვილი, აღწეროს ადამიანის სული სიკეთე... ჩემი მოთხრობების ზოგიერთი გმირი რეალურია, ზოგიც — ფანტაზიის ნაყოფი. ზოგ შემთხვევაში, გმირის სახე კრებითია, ანუ რამდენიმე ადამიანის ხასიათის შტრიხებს აერთიანებ და, საბოლოო ჯამში, ერთ გმირს ქმნი. რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს პროტოტიპიც.

სამპრობლემო მწერალი უნდა იყოს, რომ სამშობლოში დაბრუნდეს მტკიცებულად ნაცნობი გარემო, ტაძრის მშობლიურად თბილი კედლები, რბილი, რბილი ბალახით შემოსილი მიწა. რა არის ეს, რატომ გინდათ ასეთი გაცხად? იქნებ იმიტომ, რომ სწორედ აქედან დაიწყო შენთვის ნაცნობი საქართველო. არააზი შორს არის, წყვილია და დათქმულან დიადი კერები ვერა და ვა, აქ კი, აი, ამ მიწაში განისვენებს გერაკლის ქალი სიდონია, რომელსაც გულში მაცხოვრის კვართი ჩაურუტებია. უკვე ორიოთხი წელია, რაც ეს არის შენი სამშობლო, სწორედ ეს. სხვა არ გახსოვს — მას შემადრწუნებლად სქელი საბურველი ფარავს.

პანო ჩხიკვაძე  
ახლაც ვიმს...  
(ნუგზარ შატაიძეს)

იზრდობს სველი და ჩამბალია ყველაფერი. კედელთან, შავი თუთის ძირში ლოკოკინები მიათრევენ მძიმე ჯავშანს. სერის. მესერის რკინას დაკიდებული დიდრონი წვეთები ფილაზე ცვივა. ახალმოყრილ მიწას თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები შერევიან. ნეტავ რა იყო ადრე ამ ადგილას? მიწა თავისას ითხოვს, ცა — თავისას. სხეული და სული — ტანჯვით შეერთებული წყვილი, ბოლოს მაინც გაიყრება ხოლმე.

ამ გარდაუვალობას თითქოს კარგა ხნის წინ უნდა შევგუბოლით. მაინც ძნელია, მაინც... იქ ცივა, დაუღვევრად ამოკმეჩილ ორმოში, სადაც როგორც ხის ნაპოვში, ეგრე უნდა ჩაგყვებს ხორცი და ძვალი. ერთხელ, ჩემმა მწუხარ მეგობარმა, თავისი შვილის, ძვირფასი თამუნას საფლავთან მითხრა: — ფილაზე წარწერა რომ ამოვაკვეთინე, ახლობლებმა მითხრეს, სურათიც ხომ არ გავაკეთოთო, მაგრამ მე არ ვცენი... ხომ გახსოვს, როგორი მშობარა ბავშვი იყო, სინათლეს თუ არ ავანთებდით, თოხიდან თოხში ვერ გავიდოდა... ვიფიქრე, დამე სასაფლაოზე მართო რომ დარჩება, შევმინდებმა-მეთქი... სახეგავერუებულმა მამამ სიგარეტის ჩამოსავარდნად აკანკალეულ ფერფლს ხელისგული შეუშვირა, რომ შვილის საფლავს არ დასცემოდა. მაშინაც წვიმდა. ახლაც წვიმს. კედელს უღონოდ ებღაუჭება გაყვითლებული ხვიარა.





1956 წლის 9 მარტი (თბილისი)

„მ მაისია, ევროპიდან განუწყვეტელი ის-მის ომის დამთავრების სადღესასწაულო თარიღის შესახებ, ჩვენთან კი არაფერი ისმის, თითქოს ეს ჩვენი არ გვეხებოდეს... უყვარდა სამხარეულოში შემოხედვა-შეხიანება და ახლაც შემოიხედა და გვიტანა – სტუმრებს ველოდები, აბა, არ შემარცხვინოთო... გასვლისას კი, უარემთან მისულმა მე მიხმო: – „არსენი“ (ასე მეძახდა მეწოდებოდა მამაჩემის სახელის მიხედვით), რას იტყვი „რვას“ ქართულად „ცხრა“ არ სჯობია?!... მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა მექანიკურად ვუპასუხე – „ღიახ, ამხანაგო სტალინი, სწორედ რომ ასეა“...

– ჰოდა, გამარჯვების დღედ ჩვენთან ცხრა მაისი იქნება, მერე მაჯიდან საათი მოიხსნა და გამოიწიდა, – ეს ჩემგან საჩუქრად, გამარჯვების დღის აღსანიშნავად...

9 მარტის ამ ქართულ საპრალურ სიტყვა – „ცხრას“ დაემთხვა, როცა „გაბურ-უეებულმა ბოლშევიკებმა“ ცხრა წლის შემდეგ იმავე კუნცეგოში, სამოყარში სტალინის საჩამლაგი ჩაუყარეს და იმქვეყნად გაისტუმრეს, უბრალოდ დაასწრეს „მელადს“,

სტალინი საფრთხობელად ხეზე ჩამოსაკვია, რუსებს ატომი რომ დაუტოვა მეგვიდწოდებლად, ჯერ ხრუშჩოვი რომ ამანტაუებდა მსოფლიოში ყველას და ახლა პუტინი. ალბათ, ესეც გახსოვთ, აგვისტოს ომის დროს 2008 წელს ეს პუტინის მასხარა „პრეზიდენტი მედვედევი“ ჩვენც გვემუქრებოდა სტალინის ამ დანატოვარი ატომით და ამიტომაც ღირსია სტალინი მართლაც საფრთხობელად რომ წარმოჩინდეს დღეს, მაგრამ ამ 300-წლოვან იმპერიას პეტრე დიდიდან მოყოლებული, პარადოქსებს რა დაუთვლის...

იგი განსაკუთრებით საძულველი ხდება XIX საუკუნის ე.წ. „ვაკვასიური ომებიდან“... ამავე ეპოქაში ევროპას რევოლუციების ქარიშხალმა გადაურა განსაკუთრებით საფრანგეთს, და ნიკოლოზ I-ს გაუჩნდა იდეა რუსეთში მოეწვია ცნობილი კონსერვატორი და რევოლუციების მოძულე მარჯვ დე კუსტინი, დაე, თავის თვლით ნახოს, რა ბედნიერად ვცხოვრობთ რევოლუციების განემეო...

მოატარეს მთელი რუსეთი, ამ „რუსული მდინეების“ გასაცნობად და საფრანგეთში რომ დაბრუნდა, შთაბეჭდილებებით აღსაცემ დაწერა: „მე იქ წავიდი, როგორც რევოლუ-

ციონი და „მოლონა“, კრწანისთან რომ მიუსია ალა-მაჰმად ხანი. „ტყუილა ქრისტიანებში“ და გორტოვების ქვეყანა“, ასე შაჰაჰო იბი...

ამ „ტყუილა ქრისტიანებში“ მაჰმადიანებსაც რომ არ მოსვლიათ თავში, ისე გაასახლეს ქართული მთელი სამეფო დინასტია დაპყრობისთანავე და უძველესი ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიაც მოსპეს მალე. „ქართველოფობობა“ გახდა იმპერიის ოფიციალური იდეოლოგია, ავი 3 ანბანის შემქმნელი ენაც „ძალიან ენად“ გამოცხადდა, გარუსება და რუსული ენის გამატონგებ თანდათანობით რუსულ სახეს იძენდა აქაურთა, რუსეთში გადადევნილთა ხელშეწყობითაც და ამიტომაც მიმართა მათ ილიამაც – „ენა მდიდარი, თქვენს ხელში მკვდარი, ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად“...

„ქართული მოლონა“ ახალისებდა სხვა ეროვნებათა მასობრივ ჩასახლებაზე, განსაკუთრებით ისტორიულ მესხეთში, კლასიკური მაკალითი საქართველოს „დექანოველიზაციისა“ გენერალი პასკევიჩი – „გრაფი ერევანსკია“, სწო-

# ტრაგედიიდან ტრაგედიამდე:

## 9 მარტი, 9 აპრილი, 9 აგვისტო... \*

„ქართლის ცხოვრების“ შამთაალფერ-თაგან შემდგომი – რიხხვი „ცხრა“, რაღაც საპრალური რიხხვი ჩვენთვის, ავი იოანე ზოსიმევი გვიმოაღვრავს – „მრავალი საიდუმლო არს დაფლული ქართულსა ენასა შინა“.

დავით აღმაშენებელი „გალოგანი სინანულიანის“ გოლო, დაგვირგვინებულ „მაცხრა გალოგაში“, ჩვენს მფარველ ღმთისმშობელს რომ აღიღვას, წერს: „შამი რაი მფოგისაი ნარხდეს და დიდგაი დაფრფხეს... მავნი განმინათლე მხედველოგითაი სულიანი. არა უხილავს მხეცა ქალწული დედა თმინიერ მენსა, არცა ნათელი ძისა შინისაი, გარნა მუ შინითა ოხითა, დედოფალი, მესამ ხილვად ნათელსა ძისა შინისაა და ნათელსა მავთა სავუშეთასა“.

ივანე ჯავახიშვილი მოლონაგრაფიკი – „ახალი ქართლის ცხოვრება“ ამ მხრივაც განიხილავს ამ ჩვენს დიდ მოლონაგანს. გ-მ ივანეს გარდა, მსინინიზმზე ჩვენს ისტორიაში გვფრს უფიქრია და უფერია – სოლომონ დოდაშვილს, მასტანგ ორგალიანს, ილიას, ვაჟას, აკაკის, გრიგოლ როგაძის, შალვა ნუსშიძის, გვიად გამსახურდიას...

ამასვე უსვამს ხაზს ჩვენი სახელთვანი ეპიგრაფიკი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ წერეთელი „არი და კაცობრიობის“ XIV თავში („ქართული უნი“):

„ქართველი ერი მართო ჩვენთვის კი არ არის საინტერესო, არამედ იგი ერთი იმ უძველესი და უორიგინალესი ერთაგანია, რომლის ძირიც უძველეს ისტორიაშია ჩამახული... მრავალი თვალთახედვით არის საინტერესო ქართველი ერი – საზოგადოდ, ისტორიისთვის, და ერთობ მეცნიერებისათვის, საერთაშორისო სამართლისათვის“.

„ისტორია ჯემარტის მტყუელება არს“ – გვმოდერნავს „ქართლის ცხოვრება“, და ჩვენც ვაღივებელი ვართ მიყვებით მას. ეს ანდერმად დაგვიტოვა პირველმა პრეზიდენტმა, როცა „ოსე ილიალოგთა კლუშ“ შეგვიპირდა – 1992 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 155 წლის თავის იუბილეზე მე თვითონ გამოვაცხადებ ამ თქვენს თემას: „ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი“!

„ცხრა წყარო“, „ცხრა მუზა“, ცხრათვალა მზე“, „მეცხრე ცა“, „ცხრა უღელი ხარკამეჩი“... პოეტურ გაბრუნებამაც აისახა ამ „ცხრა“-ს ქართული კულტი – „ცხრა ლახვანი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიციებ“ და ამ ისტორიულ ფაქტშიც – „ცხრა ძმანი ხერხეულიძენი“...

ესეც ისტორიული ფაქტია „ცხრა მაისთან“ დაკავშირებული, კუნცეგოში სტალინის მზარეული ალექსანდრე დაუშვილი რომ გადმოგვცემს:

\* 2008 წლის ომის ყველაზე ტრაგიკული დღე არის 9 (და არა 8) აგვისტო სწორედ ამ დღეს გადაარჩინა ევროკავშირმა თბილისი დაბომბვა-განადგურებას!



1989 წლის 9 აპრილი (თბილისი)

სანამ იგი მათ მოუღებდა ბოლოს... ერთობა ყველაზე აქტიურმა შეთქმულმა ხრუშჩოვმა კი, მერე „ამილია“ იგი ყველა ცოდვაში, რაც კი მანამდე მომხდარა საბჭოთა იმპერიაში; თითქოსდა, რეპრესიების რეკორდი ლენინს არ ეკუთვნოდა, სამოქალაქო ომში 7 მილიონი თეთრგვარდიელი რომ დახვრიტა, უმეტესობა თავისი პირადი ხელმოწერით...

„სტალინოლოგის“ ფუქემდეგელი, ამერიკელი ისტორიკოსი რომეტრ ტაკერი სტალინის – „სოციალიზმისა და კომუნისმის ამ ყველაზე დიდი ფანატისა და გიჟის ფენომენს“ რომ იკვლევს, წერს: იგი რუსეთის და რუსი ხალხის ავტორიტარიზმისა და მონური მორჩილების ისტორიულად მომდინარე ფსიქოკამ, მონოლოლთა 300-წლოვანმა ბატონობამ შვა“!

ამიტომ ამოგონ, დღეს უპრაიდელაგის მათ გაგონარ სისასტიკასა და გარგაროსობაზე – ეს მოლოლთა „ოქროს უნდოს“ გამოქაბილია... მხეადმე ვუტინს, მოსკოვისა და ყარანის „პრემიის“ უხნაურ მოგონებებს, „ურას“ რუსულ-მოლოლურ ყიჟინას, თუ ვაჟა ცხვირს და ჩადრგაგავალ თვალებს, მათ თვალთვალ-ცოვას და ცვიანება-გორტოვასო...

ისე, კაცმა რომ თქვას,

ციის მოძულე, ხოლო დაგზრუნდი რევოლუციონერად – ასეთი მონათა ქვეყანა უნდა დაინგრეს ძირფესვიანად“!

თვითონ რუსეთშიც აქა-იქ ჩნდებიან ნავალნის მსგავსი პროტესტანტებიც, ვთქვით იმავე ნიკოლოზ I-ის დროს ჩენნიშეგსვი, დევიზად რომ აქცია თავისი ლაუნური ფრაზა – „რაც მდინეებმა სხვაგან, უმედურება ჩვენთან და რაც მდინეებმა ჩვენთან, უმედურება სხვაგან“!

პირველი ქართული, ვინც გორტოვების სიგოლოდ აღიქვა რუსეთი – ალექსანდრე გატონიშვილია. რით არ სსა-დღეს მისი მოსყიდვა-შემოროგება, არა და არა, არ აკაბია მამის ასე უღვთოდ

რედ მისგან იწყება ახლანდელი ე.წ. „თუქი-მესხების“ ფენომენიც...

სტალინის ფაქტორმა თითქოს შეაჩერა ეს პროცესი, მაგრამ მის შემდეგ „აფხაზური სეპარატიზმის ბუდე“ სწორედ კრემლი გახდა, სიძულვილით რომ წამლაგდნენ ისტორიულად ჩვენს ძემებს – აფხაზებს. ამიტომ გაჩნდა ჩვენს ფოლკლორშიც ეს ხალხური სიმრძნე:

„რამ დაგაზმავათ ქართველნი, რამ დაგიყრუათ ყურები, რო ყოფილიყო სტალინი, ამას გვიზამდა რუსეთი? გამოახილეთ თვალები, გამოიფხიკეთ ყურები“.

ქართველოფობობით განსაკუთრებით გამოიჩინდნენ ხრუშჩოვი და სუსლოვი. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ეს „ფრთიანი ფრაზა“ – „ჩტობ კაცო ბოლშე ნე მილო“! ხოლო ხრუშჩოვი 9 მარტის შემდეგ რამდენიც დათვრებოდა, მუავანაძეს ურეკავდა – „ემელონებს ვავგაზნი და მოემზადეთ ციმბირში გასასახლებლად“!

9 მარტი, 9 აპრილი, 9 აგვისტო მედინეწრად დაყვა საქართველოს უახლოეს ისტორიას... მაღლობა ღმერთს, ხალხი მართლაც რომ მრძენი გვყავს და ზოგიერთთაგან განსხვავებით მიხვდა, ქართველოფობობა არის ამის მასაზროლებელი წყარო. ესეც ფაქტია – 1951 წელს ლიკანში მყოფი სტალინის გრძობა მოვლენათა ასეთ განვითარებას და წლინახევრის შემდეგ ასეც მოხდა...

„სხვანაირი სტალინი“, ასე ახასიათებდნენ მას კანდიდ ჩარკვიანი, აკაკი მეღაძე, თსუ-ს მაშინდელი პარტკომი ვალერიან დათუკიშვილი და უკლებლივ ყველა, ვინც მას ლიკანში შეხვდა. შეიძლება ითქვას, რომ „გაბურუეებულ ბოლშევიკებთან“ დაპირისპირება და მრძოლა აქ ჩაისახა...



2008 წლის 9 აგვისტო (გორი)





**დაპირისპირება ევროკავშირის შერყობის რისკთან დაკავშირებით სულ უფრო თვალში საცემი ხდება. როგორც ჩანს, დასავლეთი ცდილობს, უკრაინის ომის დასასრულებლად გეგმა შეიმუშაოს, თუმცა მანამდე ვითარება ფრონტის ხაზზე რთულდება, რადგან ამერიკის მხრიდან გაჯანჯლებული დახმარების გამო, უკრაინელებს ფრონტის ხაზზე შეიარაღების, გეგნიკის, მომარაგების და სხვა ლოჯისტიკური პრობლემები ექმნებათ. ვის რა ინტერესები აქვს ამ ომში და რა საფრთხეს ქმნის დაპირისპირებული ევროკავშირი უკრაინის ომისთვის? ამ და სხვა კითხვებზე ჟურნალ „ბრესპანსის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალაღაშვილი for.ge-სთან ინტერვიუში საუბრობს.**

# სოცხალი კალა - უკრაინის, იარაღი - ევროკავშირის“!

## დაპირისპირებული ევროკავშირი და დახმარების მოლოდინი ბრძოლის ველზე უიარაღოდ დარჩენილი უკრაინა



– უკრაინის ომთან დაკავშირებით, ევროკავშირის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირებაა. განსაკუთრებით კი გამოწვევად ვითარდება საფრანგეთისა და გერმანიის შორის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც რუსულ მედიაში 1 მარტს გამოქვეყნდა გერმანიის ოფიციალური განცხადება, სადაც ისინი უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე მსჯელობენ. სხვათა შორის, საუბრის მონაწილეები განიხილავენ კიევისთვის „ტაურუსის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების მიწოდებას, რომელიც გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ჯერჯერობით უარყო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი და რა სახის დაპირისპირებაა საუბარი?

– სამწუხაროდ, გვერდის შემთხვევები, როცა ევროკავშირი ერთიანი არ ყოფილა და ამით უსარგებლოდ, მაგალითად, როცა მიუნხენის აქტი დაიწყო და ფაქტობრივად, პიტლერს მაშინდელი ჩეხოსლოვაკია ჩააბარეს. ამის შემდეგ კი პოლონეთზე თავდასხმა და მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ისეთ სიტუაციაში, როცა ომი ევროპაში, კონსენსუსი ყოველთვის დადებითად არ მუშაობს. როდესაც ერთი გამოკვეთილი მტერია, მის წინააღმდეგ ერთიანი აზრი უნდა არსებობდეს, აზრთა სხვადასხვაობა აქ უკვე წამგებიანია. განსხვავებით იგივე ევროპისგან, ნატოსგან, როგორც სტალინის შექმნილი ერთიანი გადაწყვეტილების მიღება, ასევე შეუძლია პუტინს. ეს უფრო დიდ შეცდომებს იწვევს, მაგრამ ომის დროს ასეთი გადაწყვეტილებები უფრო ეფექტურია, ვიდრე ის, რასაც ახლა ამერიკაში უკრაინისთვის იარაღის დახმარების კუთხით ვხედავთ. ეს არის მარაზმი, რაც ამერიკის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში ხდება. სპეციალურად, ათასი ყურით მთარეული მიზნით ცდილობენ უკრაინისთვის ამ 60 მილიარდის დახმარება გააჩანჯლონ. ეს კი უკრაინაზე ძალიან ცუდად მოქმედებს და ფრონტის ხაზზე ამან შეცდომა დამლუბველი შედეგები გამოიწვიოს.

– გერმანიის და საფრანგეთის ასე მწვავედ დაპირისპირების მიზეზი რა არის? ბოლოს ვხედავთ, რომ შოლცის და მაკრონის ურთიერთობა იქამდეც კი არის მისული, რომ უკრაინისთვის გაწეულ დახმარებას ერთმანეთს საჯაროდ უთვლიან. შესაძლოა ევროკავშირში უკრაინის შექმნა და ინტერესები უფრო მალე დააყენოს?

– დიახ, სამწუხაროდ ასეა და ბოლო შეხვედრა, რომელიც ახლა პარიზში მოხდა, მაკრონმა წაუბნა შოლცს – ჩვენ როცა უკრაინისთვის დახმარება დაიწყეთ, ზოგიერთმა ქვეყანამ ამ დროს მხოლოდ 5 ათასი მუზანადი გაუგზავნაო. ასეც იყო, გერმანიის ეს არასერიოზული გადაწყვეტილება. თუმცა ამის შემდეგ მეორე რამ შეიცვალა და გერმანიის ნატოს წევრი ქვეყნებიდან, ამერიკის შემდეგ, უკრაინას სერიოზულ დახმარებას უწყეს.

ახლა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საფრანგულ ტურეზთან დაკავშირებით წარმოიშვა. ჩეხეთის პრეზიდენტმა, რომელიც გენერალია, განაცხადა, რომ მოქმედებს 800 ათასი ტურეზის საშუალება, რათა უკრაინის არმიას მიაწოდონ, ოღონდ ეს ტურეზები ევროპის გარეთა ქვეყნებშია საყიდელი. აქ უკვე საფრანგეთი, სამხრდითი და კვიპროსი წინააღმდეგები წავიდნენ. ამის მიზეზი ის არის, რომ საფრანგეთს უნდა, ის ფულს, რასაც ევროკავშირი გამოყოფს, ისევე ევროკავშირის ქვეყნების ქარხნებში ჩაიდოს და ტურეზები მათ აწარმოონ. ეს სწრაფად არ ხდება, ამას დრო და წლები უნდა. უკრაინას ამის დრო არ აქვს, ხალხი ელუპება ფრონტის ხაზზე და ვხედავთ, სამოქალაქოებს როგორ ბომბავენ. სამხრდითი და კვიპროსი წინააღმდეგი იმიტომ წავიდნენ, რომ ტურეზების ნაწილის ყიდვა თურქეთიდან უნდა მომხდარიყო და მის სამხედრო მრეწველობას გააძლიერებდა, რაც გერმანიის ინტერესში არ შედის. ამ დაპირისპირებაში დრო იკარგება და უკრაინელები იხოვებიან.

– ვნახეთ, რომ დაპირისპირება ასევე მაკრონის იდეის გამო, სადაც მან თქვა, რომ შესაძლოა, უკრაინაში ვითარება ისე წარმართოს, რომ დასავლური შეიარაღებული ძალების განთავსებაც კი გახდეს საჭირო. მის ამ ნათქვამს დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მაკრონმა კი განმარტა, რომ მისი ნათქვამი სხვანაირად კი გაიგეს. რა თქვა მაკრონმა და რამდენად შეიძლება უკრაინას ასეთი საჭიროება დაუდგეს?

– მაკრონმა აბსოლუტურად სწორად თქვა, რომ ჩვენ, ევროკავშირი თუ ნატოს წევრი ქვეყნები, 6-12 თვე ვაგვიანებთ უკრაინის დახმარებაზე გადაწყვეტილების მიღებას, რაც შემდეგ ფრონტის ხაზზე ძალიან ცუდად აისახება. იმიტომ მან დააყოლა, რომ ამის გამო, შესაძლოა, ისე გაჯინდეს, უკრაინაში, ჯარების გაგზავნაც კი მოგვიწიოს. მან ეს ერთ-ერთი ვარიანტი თქვა. როცა ეს ომი დაიწყო, უკრაინას და დასავლეთს შორის შეთანხმება შედგა – უკრაინამ თქვა, ცოცხალი ძალა ჩვენი, იარაღი – თქვენნი. ასე მიდობდა, მეტ-ნაკლებად, ვითარება, თუმცა ფრონტის ხაზზე დრო ძალიან გადაწყვეტდა. დავიანებებული დახმარების ფონზე, ვარკუელი პრობლემები გაჩნდა. ამასთანავე, უკრაინას იმის გარდა, რომ შეიარაღების და სამხრდო მასალის მიწოდების პრობლემა აქვს, თავად აქვს პრობლემა ცოცხალი ძალის. ამ ორწლიანმა ომმა უკრაინაშიც დიდი მსხვერპლი მოიტანა.

– რამდენად რეალურია დასავლური ჯარისკაცების ის რიცხვი, რომელიც პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ დაანახებდა?

– პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ 31 ათასი კაცია დასავლური, მაგრამ რეალურად დასავლური 70 ათასი მაინც იქნება. პულს, დაახლოებით, 200 ათასამდე დაჭრილი, დასახინრებული და დაკარგული ხალხია. ახლა უკრაინას მოზილიზაცია უჭირს. რუსეთმა მოახერხა მოზილიზაცია და ფრონტის ხაზზე შეესება აქვს. უკრაინამ თუ მოზილიზაცია არ ჩაატარა, სიტუაცია ძალიან მძიმე იქნება. მოსახლეობაში ამდენი დანაკარგის შემდეგ, მოხალისე ომში წასვლის სურვილი აღარაღვის აქვს. ე.წ. სამხედრო კომისრები იძულებულნი არიან, ხალხი ქუჩაში დააკავონ და ომში ისე წაიყვანონ.

უკრაინაში ახლა როცაა თითქმის არ ხორციელდება. იმიტომ ცოცხალი ძალა უკრაინას სერიოზული პრობლემა აქვს. ფრონტის ხაზზე მოვლენები უკრაინის სასარგებლოდ რომ განვითარდეს, პირველ რიგში, ორ რამეს აქვს მნიშვნელობა – რამდენად სწრაფად მიიღებს დასავლეთიდან დახმარებას და მოახლოვდება თუ არა ჯარში როტაციას. სწრაფად მოზილიზაციის გამოცხადება და ჯარის გადახალისება უნდა მოხდეს.

ესაუბრა ლიკა ბერიკაშვილი

## განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინების ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „სადამელი ჰემის“ მიერ მდ. რიციულაზე 2,7 მგვტ სიმძლავრის სადამელი ჰემის მშენებლობა და ექსპლუატაცია

გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 26 მარტი, 12:00 საათი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სადამელის საჯარო სკოლის შენობა. საჯარო განხილვა დიახ. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024

„სოციალიზმი ჩემთვის სიცოცხლეზე მეტია“, მისი ეს ფრაზა თავისთავად განაპირობებდა ამას. ეს მამინდელი ფაქტიც თავისთავად მეტყველებს ამაზე: მაკრონის განცხადება მოუსურვებია და ერთ ადგილას შექმნილი ხალხი რომ დაუნახავს, გაჩერებულა, მანქანიდან გადმოსული ხალხს რომ უცნობი, გულთბილად შეხვედრიან, ერთს კი მადლობით უთქვამს – მოუთმენლად ველოდებით გაზაფხულს, ფასების დაკლება რომ ცხადდებოდეს.

სტალინის უპასუხია, – ასე გაგრძელდება კვლავაც, მალე პური უფასოდ იქნება, მომავალში მაქარზეც ვთქვამთ... მანქანაში რომ ჯდებოდა, თურმე თავისთვის ჩაულაპარაკებია, – ეს თუ არ მოხდა, მაშინ სტალინიც აღარ იქნება...

ვალერიან დათუკიშვილი აღნიშნავს, განსაკუთრებით პირდაპირი და გულახდილი „პეტრეს ციხესთან“ გასივრებისას იყო – ალბათ თავისი „გორის ციხეს“ აგონებდა, „ვინ – ვის“, ასე განიხილავდა იგი „გამურყუებულ მოლშევიკებთან“ დაპირისპირებას. – აქაც გაუღვია ფესვები მექრთამეობას, მათ გერია მფარველობს თურმე, ამიტომ აიშენეს სრა-სახლები, მანაც და პოლიტიურის ყველა წევრმა, როგორც აკაკი მგელაძე მეუბნება, აფხაზეთშიც მათი აგარაკების ნამდვილი ბუბია...

მატონი ვალერიანი აგრძელებს: სწორედ „პეტრეს ციხესთან“ მოვიხსენიე ეს მისი თავისებური წინასწარმეტყველება: „ჩემს შემდეგ სამტოთა კავშირი დაიშლება, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, მოეწონები და თანაც გაფრთხილდები – არ მაპატიებენ ჩემს ქართველობას და ქართულ აქცენტს, წინასწარ ვგრძობ ამას, შოვინისტური უმადურობის გრძობით ანთებულნი, გვერდსაფრთხეებსაც შეგიქმნიან ერს და ქვეყანას, დაიმასოვრეო... ლანდღვა-გინების და ავად ხსენების ობიექტი გახვდები მხოლოდ, და თუ ვინმე ჩემს სახელს შეინახავს, ეს ქართველი ხალხია, რომელსაც მევერი ვერაფერი გაგუკუთვო...“

**აკაკი მასაძე ამასთან დაკავშირებით იხსენებს ბრესტის ზაფხუ სტალინის მონაყოლს („შეხვედრა სტალინთან“ გვ. 46-50):**

– მეგრის ჰკონია, მთელი ძალაუფლება თავიდანვე ჩემს ხელში იყო... პიტლერთან ომამდე სულ მეწვის ხიდზე ვიარე, ოპობიცამ რამდენჯერ სცადა ჩემი ფიზიკურად განადგურებაც, ტროცკისტმა პირდაპირ ჩემს კამინეტში მესროლოდა...


– 1918 წელს ბრესტის ზავის დროს ლენინმა სწორედ ტროცკი დანიშნა სამტოთა დელეგაციის მეთაურად... თურქეთი, როგორც პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე, ცდილობს რამე საარგებლობა მიიღოს... გახივებ და, რას ვხედავ, ტროცკის უკვე ლენინის ხელმოწერით გადაუცია ყარსი, არდაგანი, იმერეთი, ტრაპიზონი, ერზურუმი, მათუმი, ძირძველი ქართული მიწები. დამართმა იცოდეს, რამდენად გაყიდეს მათ ეს ქართული მიწები... ვნახეთ, იქნება გადაიხედოს ეს უსამართლო ხელშეკრულება, მაგრამ ამერიკა-ევროპა კომიტეტი იცავენ თურქეთს, ატომით მამინებენ, შიგნითაც კვლავ გაჩნდა ოპობიცია...

დაახ „გამურყუებულ მოლშევიკებსაც“ არ სძინავთ, ყველაფერის საქმის კურსში არიან, მუშავდება ვარიანტებიც, და ბოლოს მოთავინი – ხრუშჩოვი, მალენოვიჩი, ბულგანინი, გერია შეთანხმდნენ გამოეყენებინათ სტალინის ეს ჩვევა – მას დღედაღამ ჩართული ჰქონდა სამოვარი და სურვილისამებრ ყოველთვის შეეძლო ცხელი ჩაის მიღება...

მაგრამ ერთი რამე შეეძლოა „გამურყუებულ გერიას“ – მას ხის იმ ტოტს აჭრევინებდნენ, რომელზეც თვითონაც იჯდა, არ გასულა მართლაც ხუთი თვე და ისიც დანარჩენმა სამეულმა „მელადის“ გზას გაუყენეს...

**9 მარტმა, 9 აპრილმა, 9 აგვისტომ ქართველოფობია ახალ რეალურად აქცია, თანაც – სამივე ამ ქართული საკრალური რიცხვითი სახელით შემკული... ესეც ფაქტია დღეს – მსოფლიოს ეს უკანასკნელი იმპერია მანაც არ გვანებებს თავს.**

**მწამს, იქ წამებულთა სულელები მეცხრე ციდან ილოცებიან, რომ ამ „ცხრათავიანმა დევმა“ ვერასოდეს, შეძლოს, ჩაიდინოს მსგავსი სისხლიან-ცრემლიანი ტრაგედიები ჩვენს მიწა-წყალზე...**



ელბერდ ბატიაშვილი



მოვლენა

გუშინ: ლეგენდების მატჩი ბათუმში

გუშინ ბათუმში საქართველოს ნაკრების ვეტერანები მილანის „ინტერს“ ლეგენდებს დაუპირისპირდნენ. ეს ლეგენდების სერიის პირველი მატჩი გახლდათ, რომელიც „ევროპაში“ მხარდაჭერით და Sports Orientation-ის ორგანიზებით გაიმართა.

„ინტერის“ შემადგენლობაში ითამაშეს „ოქროს ბურთის“ მფლობელმა ლუიზ ფიგუმა, გუნდის კაპიტანმა ხავერდმა ნეტომ და მსოფლიო ჩემპიონმა მარკო მატერაციმ.

GEO 11-ის შემადგენლობაში ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მომხარჭი შოთა არველაძე, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელი კახა კალაძე, ასევე რეკორდსმენი ლევან კობიაშვილი, ნაკრების გამორჩეული წევრები – გიორგი ქინქლაძე და თემურ ქეცბაია იყვნენ მიწვეულნი. მილანელთა მხარეს საქართველოში ოთხშაბათს ჩამოვიდნენ და მათ მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდული დასრულდა.

პასუპალაძე (მატჩის მონაწილე): „მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა კიდევ ერთხელ ჩავატარო შეხვედრა „ინტერთან“. წლების განმავლობაში ჩვენ მოწინააღმდეგეები ვიყავით. უმედიერესი ვარ, რომ ღმერთმა მილანში თამაშის შესაძლებლობა მომცა. ამ შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობას ვუხდით პროექტისთვის.“

ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის ასეთი თამაშები ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი შეხვედრა სანახაობრივადაც საინტერესო იქნება. ქართველ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ მიეცემა მსოფლიო დონის ვარსკვლავების ხილვის შესაძლებლობა.“

არჩილ არვლაძე (მატჩის მონაწილე): „იმედია ეს თამაში მხიარული, მეგობრული იქნება და ჩვენი სტუმრები კარგ სადამოკიდებლობას გაატარებენ ბათუმში. მოხარული ვართ, რომ ასეთი ღამეა, კარგი ქალაქი გვმასპინძლობს.“

ხავერდ ნეტომ (მატჩის მონაწილე): „საქართველოში ეს ჩემი პირველი ვიზიტი არ არის. ვიცით რამდენად უყვართ ამ ქვეყანაში ფეხბურთი. იმედი მაქვს მე და ჩემი მეგობრები სტადიონზე მოსულ მაყურებელს კარგ სანახაობას შევთავაზებთ.“

მარკო მატერაცი (მატჩის მონაწილე): „მქონდა შესაძლებლობა მეტამაშა და დავპირისპირებოდი ისეთ ფეხბურთელს, როგორიც კახა კალაძეა. მე ვარ თამაში ჩავატარეთ. სამწუხაროდ, მე ვერ ვიხილე მატჩის დათმობა, რად-

გან ძლიერი მოთამაშე იყო. ხვალ გვექნება საშუალება, კიდევ ერთხელ შევხვდეთ ამხანაგურ მატჩში. გარდა თამაშისა, იქნება მხიარული გარემო და მე ვიცი დიმილი.“

საქართველოს ვეტერანთა ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: გიორგი ლომია, ნუკრი რევიშვილი  
მცველები: კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, კახა ცხადაძე, გიორგი ნავალოვსკი, ალექსანდრე ამისულაშვილი, ლაშა სალუქვაძე, დავით კვიციანი, გელა შეყილაძე.



ნახევარმცველები: თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი, ჯანო ანანიძე, გიორგი ნემსაძე, ლევან ყვინია, გოჩა ჯამარაული, სანდრო კობახიძე, გოგა გახიჯიძე, ლევან ცქციტიშვილი.

თამაშისმძღველები: შოთა არველაძე, არჩილ არველაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, დავით სირაძე, ლევან მჭედლიძე, ოთარ მარცვალიძე.

„ინტერის“ ვეტერანთა შემადგენლობა:

მეკარეები: უულიო სეზარი, სემსტიან ფრეი.  
მცველები: ხავერდ დანეტი, მარკო მატერაცი, ლუსიო, მაიკონი, ივან კორდობა, ფრანჩესკო კოლონეზი, ფაბიო კალანტი.

ნახევარმცველები: ლუიზ ფიგუ, ესტებან კამბიასო, ვესლი სნიდერი, გეორგიოს კარაგუნისი, მონხა ვალერიო, ჰუსინ ხარჯა.

თამაშისმძღველები: დიეგო მილიტო, როდრიგო პალასიო, გორან პანდევ, დავიდ სუასო.

ტრიუმფი



ასეთი მონაგარს ყველა ინტერნეტისა საქართველოს ნაკრები 19(!) მედლითა და ვაჟთა შორის გუნდური გამარჯვებით დაბრუნდა სამშობლოში პოპულარულ თურქულ კურორტ ანტალიაში გა-

თამაშებულ კადეტ ძიუდოსტა ევროპის თასიდან.

3 ოქტო, 4 ვერცხლი და 12 მზინჯაო მოიხვეჭეს ჩვენმა იმედებმა ოსმალურ ტატამზე: I ადგილი – ლადო დულარძე (73), მალხაზ შატაკიშვილი (90), ნოდარ კობლაძე (+90, ამ წონაში ქართული ფინალი გაიმართა). II ადგილი – გოგა მუსურაშვილი (55), ვასილ გამგებარაშვილი (66), გიორგი გელაშვილი (+90), მარზარ გელაშვილი (+80). III ადგილი – ლუკა ქალიაშვილი (55), ლუკა დათაშვილი (60), გიორგი მუმლაძე (73), გიორგი დვალი (73), ცოტნე ძაგანაშვილი (81), საბა სონდულაშვილი (81), საბა ჭიქია (90), გიორგი ქარჩიაძე (+90), იოანე აბალაძე (+90), მარიამ ნათელაური (63), ქეთევან რობაქიძე (70), ნონა კვარაცხელია (+70).

გამოცდა

გორიდან ანტალიაში

სპორტული კარატეს ფედერაციის ეგიდით გორის ახალ სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა. ტურ-



ნირზე ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონიდან 410 მონაწილე გამოდიოდა. შეჯიბრებაში 1 დღის განმავლობაში გაგრძელდა და გამარჯვებულები როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში გამოვლინდნენ.

წონები ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით იყო გადანაწილებული. პირველადგილოსნები და პრიზიორები მედლებით, თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. გარდა ამისა მათ დააგროვეს საწიგნო ქულები. დიდების ნაკრები სამშაბათს დილით სტამბოლში საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაემგზავრა, საიდანაც 15/17 მარტს ანტალიაში – პრემიერლიგის ტურნირზე გამოვა.

ეროვნული ჩემპიონატი საქართველოს კულტურის, სპორტის სამინისტროს და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მოეწყო.

ჩემპიონთა ლიგა

ქვესკნელის პირას

ცხუილად როდია ნათქვამი – მძობლას ყოველთვის აქვს აზრი, რაშიც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე კვირის საპასუხო რაუნდმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

ეს განსაკუთრებით ლაიფციგს ეხება, რომელსაც სანტიმეტრები დააკლდა ხმაურთან სენსაციამდე. შეგახსენებთ, რომ პირველი მერვედფინალი ხარეშმა შინ დირსეული დათმის 14-გზის ტრიუმფატორ მადრიდის რეალთან – 0:1 და მეგრმა გერმანელები ნაადრევად ჩამოიწერა, მაგრამ სანტიავო მერნაბეუბე მოვლენები ისე განვითარდა, სამეფო კლუბი კინაღამ უფსკრულში გადაიჩეხა, როცა ბოლო წუთებზე მასპინძელთა თანამემამულემ დანი ოლმომ ბურთი ლუნინის კარის ძელს მოახვედრა – 1:1. მანამდე – 65-ე წუთზე ვინისიუს უინიორმა კროსის პასით ფავორიტი დააჩინა, მაგრამ მალევე ორგანმა ზუს-



ტი თავურით გაათანაბრა ანგარიში... კიდევ უფრო რთული ამოცანა გადატანა მიუნხენის ბაიერნმა, რომელიც ახლოსაა კომპარული სეზონი საერთოდ უტიტულოდ დაასრულოს. ბავარიელებს მხსნელად ჰარი კეინი მოეგლინათ, რომლის დუბლსაც უმეგრებელმა მიუღწერა კიდევ ერთი ზუსტი დარტყმა და უმატა და რეკორდმისიტერის სრულფასოვანი რეჟიმში გამოცხვა რომის ლაციოსთან – 3:0 (0:1).

რაც შეეხება დანარჩენ წყვილებს, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა: სოსიედადი – პარი სენ-ჟერმენი 1:2 (დუბლი შეასრულა მზაპემ, 0:2), სიტი – კოპენჰაგენი 3:1 (3:1).


ნაპოლი მარსელონას 12 მარტს ეწვევა, სერია – ა-ში კი დღეს ტორინოს უმასპინძლებს.

სასიამაღლო

პასტანგ სალუქვაძე

ლეგენდარული შვილის – ნინო სალუქვაძის მეთე ოლიმპიადამდე რამდენიმე თვე ადრე მართალთა განსასვენებელში გადაინაცვლა მისმა პირადმა მწვრთნელმა, თავადაც ღირსეულმა ჩუბინმა, 93 წლის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ტყვიის სროლაში მზებანგ სალუქვაძემ.

მართლაც რომ საამაყოა სსრკ დამსახურებული მწვრთნელის კარიერულ ჯილდოთა კოლექცია: ქვეყნის ჩემპიონი პირად ჩათვლაში და ხუთგზის ჩემპიონი გუნდურ ტურნირში, საბჭოთა კავშირის სპორტაკიადის ჩემპიონი პირად ასპარეზობაში და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში. უფალს ებარებოდე, სასიამაღლო მამულიშვილო!





სანთელი

მუღამ სიკატიის მთავარი

გივი აბზიანიძე



კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი განერქდა ამ ცოდვამადლიან წუთისოფელს. გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით გამოჩენილი ერისკაცი გივი აბზიანიძე დაიბადა 1939 წლის 1 თებერვალს. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს „მთავარპოლიგრაფგამომცემლობის“ ქუთაისის სტამბაში საამქროს ოსტატად. 1963 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორად. აქვე მუშაობდა განყოფილების გამგის მოადგილედ; 1973 წლიდან იყო ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, პირველი მოადგილე, შემდეგ აირჩიეს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად. 1978 წლიდან მუშაობდა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1983 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1989 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე ყოფნისას გივი აბზიანიძე ეწეოდა უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას. ასევე მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში სამმართველარ პატიაშვილი, ანზორ ბურჯანაძე, მირზა ქორქაშვილი, ვიტალი ხაზარაძე, დავით წერეთელი, რამაზ მხეიძე, მურთაზ მამისაძე, ლევან დათიაშვილი, თემურ შაშიაშვილი, დავით მელქაძე, თემურ ლანჩავა, ვალერი ასათიანი, მერი ფაჩუაშვილი, ნანული კაკაბერიძე, გურამ გუნავა, დემურ ბაბუია, ოთარ ჭითანავა, ჯემალ კუხალაშვილი, ბაკურ ბულუა, შურა შოვნაძე, ზურაბ ანთაძე, სპარტაკ ქოშულია, გონდო ჯიქია, ვიტრე ბერაია, თემურ თოფურიძე, ვახტანგ კიკნაძე, ნუგზარ სულავა.

გივი აბზიანიძე ქუთაისისა და წყალტუბოს ხელმძღვანელ მუშაკთა კოპორტას განეკუთვნებოდა. თავისი პასუხისმგებლობის მაღალი გრძობით, სიკეთით და უბრალოებით გივი აბზიანიძემ იმერეთი დედაქალაქსა და კურორტ წყალტუბოში დიდი სიყვარული დაიმსახურა. გივი აბზიანიძე იყო დიდი ქართული ოჯახის მოსიყვარულე მამა და ბაბუა. გივი სერგის ძე აბზიანიძის სახელს დავიწყება არ უწერია. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქუთაისის მიწა!

მირზა ქორქაშვილი ოჯახით დიდ მწუხარებას განიცდიდა მეგობრის, უახლოესი თანამებრძოლის და თანამოაზრის

გივი აბზიანიძის

გარდაცვალების გამო, რომელთანაც შემოქმედებითი შრომის და ბრძოლის მრავალი წელი მაქვს გატარებული. გივი აბზიანიძე იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, სიკეთითა და სიყვარულით სავსე კაცი, ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი. უდიდესი გულისტკივილით თანავუგრძნობ გივი აბზიანიძის საყვარელ ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს.



რუსუდან ლორთქიფანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამაგალითო, უკეთილშობილესი ადამიანის, დიდი პროფესიონალის

ჯემალ გასვილის

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მირზა ქორქაშვილი ოჯახით დიდ მწუხარებას გამოხატავს

ჯემალ გასვილის

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


ბონდო ჯიქიას ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ღირსეული პიროვნების

ჯემალ გასვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

არდავიწყება

მიხეილ ნიორაძე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

მიხეილ ნიორაძე

და თანავუგრძნობს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პროფესორი მიხეილ ნიორაძე 2005 წლიდან დღემდე იყო თსუ მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტის (თსუ მეფი) დირექტორი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ორ პერიოდს. პირველი დაკავშირებულია დუბნის ამჩქარებელზე რელატივისტური ბირთვული ფიზიკის სფეროში შესრულებულ კვლევებთან, ხოლო მეორე იულისის კვლევითი ცენტრის COSY ამჩქარებელზე ჩატარებულ ექსპერიმენტებთან.

პროფ. მ. ნიორაძის მიერ თანავუგრძნობთან ერთად შესრულებულმა სამეცნიერო შრომათა ერთმა ციკლმა, დაიმსახურა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის პრემია (1998 წ.), ხოლო შედგენილი სისტემების რელატივისტური ტალღური ფუნქციების კვლევასთან დაკავშირებულმა შრომათა მეორე ციკლმა, საქართველოს ეროვნული პრემია (2009 წ.).

1993 წლიდან პროფ. მ. ნიორაძე ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა ქიულისის კვლევითი ცენტრში (FZJ, გერმანია) ANKE საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამაში მიმდინარე კვლევებში. ამ ექსპერიმენტებისთვის მისი ხელმძღვანელობით თსუ მეფი-ში დამუშავდა და შექმნა სრულიად ახალი ტიპის ჩერენკოვის მთვლელები, რომლებიც გამოიყენებოდა ANKE-ზე მიმდინარე კვლევებში.

პროფ. მ. ნიორაძის ინიციატივით საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ინიცირებული იყო ნუკლონ-ნუკლონური ურთიერთქმედების სპინური სტრუქტურის შესწავლის მრავალწლიანი პროგრამა, რომელიც წარმატებით დასრულდა 2016 წელს. პოლარიზაციული ექსპერიმენტების შედეგები შესულია ნუკლონ-ნუკლონ ურთიერთქმედების მონაცემთა მსოფლიო ბაზაში.

პროფ. მ. ნიორაძემ გერმანულ კოლეგებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა გერმანულ-კავკასიურ სკოლა-სემინარს პადრონულ ფიზიკაში (CGSWHP), რომელიც 2004 წლიდან დღემდე ტარდება თბილისში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. გერმანული მხარის ინიციატივით ის ტრანსფორმირდა ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის კონცეფციად (GGSB). ამ პროექტის ფარგლებში ქართველი სტუდენტების მიერ შესრულებული იყო 11 სამაგისტრო და 6 სადოქტორო ნაშრომი.

პროფ. მ. ნიორაძის უშუალო მონაწილეობითა და თანავუგრძნობით გამოქვეყნებულია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (დაახლოებით 80 მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო და 1 აკადემიური ხარისხის სადოქტორო დისერტაცია.

პროფ. მ. ნიორაძემ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს – სადოქტორო დისერტაცია. მას მინიჭებული ჰქონდა პროფესორის აკადემიური ხარისხი. მიხეილ ნიორაძის – ბრწყინვალე მეცნიერ-ფიზიკოსის და დიდებული ადამიანის სახელი მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

მეგობრები

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანავუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს, ჩვენი რედაქციის ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელსა და გამორჩეულ პუბლიცისტს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს რუსუდან ლორთქიფანიძის უმცროსი ძმის

მერაბ ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

განსხვავება

გაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილს 10:00 საათზე ქ. თელავში, დავითაშვილის 17-ში, დანიშნულია კოოპერატივი „რკალაზნის ველი“ წევრთა საერთო კრება.

ადმინისტრაცია




# მე მჯერა სასწაულებს!

უფლის წყალობამ თუ იქნა, სადაცაა, 93-ში გადავდგე. ერთს ვიტყვი: ადამის ძე რაც უფრო უახლოვდება „გაღმა ნაპირს“, მით უფრო მონრწმუნე ხდება! თანაც, ადრე რომ ვერ ამჩნევდა პატარა-პატარა სასწაულებს, ახლა თვალნათლივ დაინახავს, თვალისჩინთან ერთად, თუ „გულიც ექნება ღია“! ამ ათიოდე წლის წინათ, სამეცნიერო ტაძრის ახალგაზრდულ შემოქმედებით ცენტრში, ერთი კარგი პოეტის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

მოულოდნელად, დარბაზში უწმინდესი და უნეტარესი, ილია II შემობრძანდა ორიოდე თანხლებით!

მედად, მწკრივის განაპირა სკამზე ვიჯექი და, როცა დარბაზი წამოიშალა, ხევსურული ქუდი მოვიშვლიე და შევნიშნე, რომ პატრიარქმაც შევნიშნა; ოდნავ გაღიმებული მომიახლოვდა, წამით შეყოვნდა და მარცხენა ხელისგული თავზე დამადო; ჯვარს ვეამბოვნე და, დამხეულმა, მადლობა გადავუხადე.

და პატარა სასწაული: საკმაოდ შეცვივებული ვახლდით და თავიც გვარიანად მტკიოდა. დაახლოებით 10-12 წუთში ერთმაც და მეორემაც გამიარა. მავშვივით დავიფიცებ: უფალსაც დავესჯივარ, თუ ვაჭარბებდე! და, კიდევ ერთიც: ამ ორიოდე თვის წინათ, რატომღაც ამეკვიტა ლექსის დაწერა ჩემს უმცროს მეგობარზე, შესანიშნავ პოეტზე მალაქა ანაბულზე. დაეწერე და, სანამ ადრესატს წავუკითხავდი, ჯერ ცნობილ პოეტს, მ-ნ ვანო ჩხიკვაძეს წავუკითხე. მთელი სერიოზულობით მითხრა: მშვენიერი ლექსია, შენ, ფსევდონიმს ამოთარებული, ჩემ-ჩემად, ხომ არ პოეტობო! მერე ეგაა სასწაული?! – იფიქრებს, ალბათ, ძლიერ აყლივებული მკითხველი. ახლავ: გულმოდგინებით და ვაუტრევე მალაქას, გულწრფელად მითხრა – მშვენიერი ლექსია და ბევრი პოეტი სიამოვნებით მოაწერდა ხელსო. თუ გამოაქვეყნებ, დიდ პატივს დამდევო!




გათენდა დილა და მალაქას გულის შეტევა დამართვია; გაუქანებიათ კლინიკაში, სტენტი ჩაუდგამთ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულა და, როცა შემოთოთებულმა მოვიკითხე, შენი ლექსი გამახსენდა და ოდნავადაც არ შემშინებიაო!

თუ აჭარბებ, იმის სინდისზე ყოფილიყოს! თუმცა, ვიცო, მალაქის სინდისზე მწყრალად არასოდეს ყოფილა.

გიორგი ზარნაძე

## წუთის მიტოვება სოფელი...

მალაქა, დამეს რად ათევ, რად არ გვერევა რული? განგება შავ დღეს დაათევს, ვინაც გატკინოს გული! აბა, რა ვითხრა, ვით ვითხრა, რით გიხალისო ყური? უნდაა წუთისოფელი, (ჩემამდეც ასჯერ თქმული) უღირსთა შემამკობელი, ცრემლის მომგვრელი, კრული, ღვთიური მადლის მგმომელი, – ლაღობს ბოროტი სული! წუთის მიტოვება სოფელი, სიკვდილს მადა აქვს მგლური, მართივად უთქვამს, ვინაც თქვა ანდაზა მრძნულზე მრძნული: იმ ქვეყნად უკვდავებად ღირს, ამქვეყნად გვერქვას „მდგმური“!



## საუნივერსიტეტო წიგნების ქსელი და გამოცემლობათა გაფორმებული მემორანდუმი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა პაპა სამუშიამ თსუ-ში წიგნის მაღაზიების დიდი ქსელის შექმნაზე და ამ ქსელში თსუ გამოცემლობის გარდა სხვა გამოცემლობების წიგნების შეტანაზე ისაუბრა ღონისძიებაზე, რომელზეც თსუ გამოცემლობასთან თანამშრომლების მემორანდუმები გაფორმდა. „საუნივერსიტეტო მაღაზიის ქსელში – უნივერსიტეტის წიგნი“ გაიყიდა სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა და სხვა ჟანრის გამოცემები. ცხადია, ეს გამოცემები დააკმაყოფილებს განკვეთულ აკადემიურ სტანდარტებს. თსუ-ის 25 ათასი სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები წიგნებს შედარებით ფასად შეიძენენ.“ – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

გამომცემლობების „სებან ფაბლიზინგი“ (მანანა კარტოზია), „ჩემი გამოცემლობა“ (ოლიგო ცისკარიშვილი), „მერიდიანი“ (გიორგი გიგინიშვილი), „კარპე დიემი“ (ალექსანდრე ალადაშვილი), „არეტე“ (გიორგი დანსალა) წარმომადგენლებთან საუბრისას რექტორმა აღნიშნა, რომ თსუ-ში იგეგმება აკადემიური წიგნის ფესტივალის, წიგნების გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, რაც, ერთი მხრივ, ახალგაზრდა თაობის წიგნიერებას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ, პოპულარიზაციას გაუწევს ახალ გამოცემებს. ამასთან, მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის მიზლითთვის ახალი წიგნებით გამდიდრება.

## ფსტივალი „დედაშვილობა“ საუბრის კულტურის სანტიმანს არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა დაიპყრო

საძარტველოს ქორეოგრაფთა კავშირმა, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურმა სასახლემ, ქალაქ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა, საპროდიუსერო კომპანიებმა „ჯადოსნური ხმები“ და „ორი ჯუჯა და მეგობრები“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ხაშურის მერიის მხარდაჭერით 2 მარტს თბილისში აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში ჩაატარა საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „დედაშვილობა“.

ფესტივალზე მიწვეული იყო ხაშურის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ქართლი“ (ხელმძღვანელი და ლობტარო გოგი შუბითიძე), რომელიც დიპლომებით, თასით და გოგი შუბითიძის სპეციალური პრიზით „გუნდის საუკეთესო დირიჟორობის“ ტიტულით დაჯილდოვდა. ასევე გუნდი „ქართლი“ მიწვეულია ლას-ვეგასის ფესტივალზე.



## ეს ვიღო არ ნასოთ! ბავშვის გარენა დილაჯა თითის დაჭარით იქნება შესაქლაველი

ინფრანფანსიზმის ვირუსულად გრცელდება კომპიუტერული მოდელირებით შექმნილი ვიდეო, სადაც ჩანს თუ როგორი შეიძლება იყოს მომავალში ხელოვნური საშვილოსნო ე.წ. EctoLife და ის დაწესებულება, სადაც ემზრინის ზრდა-განვითარება ხელოვნურ საშვილოსნოებში მოხდება.

როგორც ვიდეოდან ვიკვებთ, EctoLife-ად წოდებულ მოწყობილობას ყოველწლიურად 30 000 ბავშვის წარმოება შეეძლება. ხელოვნური საშვილოსნოს დახმარებით წყვილები ბავშვების ყოლას ორსულობისა და მშობიარობის გარეშე შეძლებენ. ასევე, ბიოტექნოლოგიები ამზობენ იმასაც, რომ 10 ან მეტ-სიმუმ 15 წლის შემდეგ ხელოვნური საშვილოსნოები შეიღების გაჩენის მთავარ გზად იქცევა.

კადრებმა საზოგადოებაში დიდი გამოხმა-



ურება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. „დილა მშვიდობისა საქართველო!“ ვიდეოს შემქმნელთან და ბიოტექნოლოგთან შაშვამ ალ გაილთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. როგორც შაშვამი ამბობს, ხელოვნური საშვილოსნო ჩვილთა ინკუბატორების გაუმჯობესებული ვერსია იქნება.

„ის ამოცმებული იქნება სითხით, რომელსაც ექნება ისეთივე მჟავა-ტუტოვანი, ნუტრიენული და ტემპერატურული გარემო, როგორც ბუნებრივ გარემოში, დედის საშვილოსნოში არსებულ ამნიონურ სითხეს აქვს. ხელოვნური საშვილოსნო ალტურვილი იქნება უანგბადით, საკვებითა და იმ ყველა საჭირო ნივთიერებებით, რომელიც ემზრინის განვითარებისთვის საჭირო. იმისთვის, რომ ემზრინის გამზრდა ხელოვნურ საშვილოსნოში მოხდეს, პირველ რიგში ინ-ვიტრო განაყოფიერება საჭირო“.



რედაქციის მისამართი:  
 აშშ ფონური - 2.6576; პირი - 2.8949;  
 ბრიტანული ბირჟის სტრუქტურა - 3.3884;  
 100 რუბლი - 2.9453; თურქული ლირა - 0.0838;  
 აპარტანაშვილი მანათი - 1.5640;  
 1000 სომხური დრამი - 6.5923

აპრილი 8 მარტისთვის			
ალფონსოპოლი საპარტიო:			
ბარი -	ლაპე	+1,	ფეპ +15
მიონი რიონი -	ლაპე	-3,	ფეპ +11
დასავლეთი საპარტიო:			
ბარი -	ლაპე	+3,	ფეპ +15
მიონი რიონი -	ლაპე	-1,	ფეპ +11
თბილისი:	ლაპე	+5,	ფეპ +14

დაგვიკავით, მოგვწერით:  
 ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17  
 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge  
 და sakresp@mail.ru  
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 ა.ნაირთლის №116 (მთავარი კაზა)

მთავარი რედაქტორი  
**სპარტაკ ძოგულია**  
 599 36-00-35

მთავარი რედაქტორის  
 მოადგილე  
**მამუკა მამუკია**  
 597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი  
**კახა ძორიძე**

შეიქმნა  
 ა.ნაირთლის  
**ალეკო ასლანიშვილი**  
**გია ასლანიშვილი**  
**ოთარ ტურაბაიძე**

სტილისტ-  
 კორექტორები:  
**ნაირა კაკელია,**  
**გია იორაშვილი,**  
 თბილისი  
**შორენა გვილია**

რედაქციის მენეჯერი:  
 577-77-27-17  
 rkobulia29@gmail.com  
 ანგარიშის ნომერი  
 GE90BG000000538329790

**გამომცემელი:**  
 შპს 100 – ახალი  
 „საქართველოს რესპუბლიკა“  
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 36-00-35

იკავდება სტამბა  
 „კოლორი“  
 ე. პაღალაძის №3  
**„კოლორი“**  
 ჯაბანი  
 uac(უაკ)070.4(479.22)  
 ს-323

2 009882 616932

ავტორთა  
 საზურადადგომი!  
 რედაქციის მიერ  
 შეუქმნა მასალა  
 დანიშნულია  
 ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომწოდებელი**  
**ნომერი**  
**გამოვა**  
**ორჯაბათს,**  
**11 მარტს**